

სპირაქულ-ეკონომიკური
მეცნიერება
და
ტექნოლოგიები

№1

თბილისი
2017

სბრარულ-ეკონომიკური
მეცნიერება
და
ტექნოლოგიები

№1

თბილისი
2017

ISSN 1987-6335

**სტრატულ-ეკონომიკური
მეცნიერება და ტექნოლოგიები**
2017 №1 (34)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველკვარტალური რეგულირებადი
ჟურნალი

**Agrarian-economic
Science and Technologies**
2017 №1 (34)

International Scientific-
Methodological and Applied,
Quarterly Referenced Journal

2017 №1 (34)

ჟურნალი დაფუძნდა და გამოდის
2008 წლიდან. ყოველკვარტალურად

Journal was Founded in 2008
and is issued quarterly

599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com

www. gaas.dsl.ge

თბილისი- Tbilisi
2017

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, თ.კუნჭულია, გ.მარგველაშვილი, რ.მანარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), იან პიკული (პოლონეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

დ.ეგიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-აკადემიური დოქტორი, მ.ჩაველიშვილი-აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, T.Kunchulia, N. Chkhar-tishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze, G. Japaridze.

Foreign members of Editorial-Scientific Board:

professors: Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia); Aleksei Sizonov (Ukrain); Chaba Chaki (Hungary), Ian Piculi (Poland), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskhishvili-Academic doctor N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1. ეკონომიკა და ბიზნესი Economics and Business

სოფლის მეურნეობის განვითარების
გამოკვეთილი ტენდენციები როგორც
პროგნოზირების ამოსავალი ბაზა

ომარ ქემელაშვილი-

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,

რეზიუმე

(ინტერნეტული ვერსია)

სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტიური მდგომარეობის, ძირითადი ტენდენციების შესწავლის საფუძველზე, რომელიც პროგნოზირების ამოსავალ ბაზას წარმოადგენს, ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში, გარკვეული დადებითი ცვლილებები მოხდა ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს გამოყენებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან რეგიონთა უმრავლესობაში იზრდება სახნავი მიწები, ზოლო მრავალწლიანი ნარგავები რამდენადმე მცირდება, აღინიშნება სათიბ-სადოვრების ზრდაც. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს სავარგულების არაეფექტურ და არაინტენსიურ გამოყენებაზე. ინტენსიური სავარგულების დაბალინტენსიურში გადაყვანა აიხსნება იმით, რომ მიწის მესაკუთრეების უმეტესობა არ, ანდა ვერ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რის გამოც ის გადადის სათიბ-სადოვრების კატეგორიაში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ სანქციებს ამ თვალსაზრისით, რამეთუ ეროვნული ეკონომიკის 17-18% პირდაპირ არის დამოკიდებული აგრარულ ბაზარზე.

ნიშანდობლივი და საზგასასმელია, რომ მაინც, ნელ-ნელა იკვეთება, ქვეყნის ცალკეულ რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის გაღრმავების ტენდენცია, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ძირითადი სასურსათო პროდუქტების საკუთარი წარმოების მოცულობები დინამიკაში არასტაბილურია, რის გამოც

მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლებიც დაბალია ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით და შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტური მდგომარეობისა და ძირითადი ტენდენციების შესწავლის საფუძველზე, რომელიც პროგნოზირების ამოსავალ ბაზას წარმოადგენს, ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში, გარკვეული დადებითი ცვლილებები მოხდა ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს გამოყენებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი სურათი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ნათესი და მრავალწლიანი კულტურების ფართობების, სასოფლო-სამეურნეო დარგების გაადგილებისა და პროდუქციის წარმოების მოცულობების, აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, შემდეგნაირია:

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი (ათას ჰექტრებით) შეადგენს 3025,7, მ.შ. კერძო საკუთრებაშია 767,3 (25,35); სახნავი-802,1 (26,5%), მ.შ. კერძო საკუთრებაში-438,5 (54,7%); მრავალწლიანი ნარგავები-263,5 (8,7%), მ.შ. კერძო საკუთრებაში 180,5 (68,4%); სათიბები-149,5, მ.შ. კერძო საკუთრებაში 44,0 (30,6%); საძოვარი-1796,6, მ.შ. კერძო საკუთრებაში 84,5 (4,7%).

ანალიზით ირკვევა, რომ 2000 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი, მათ შორის სახნავი და სათიბ-საძოვრები მთლიანობაში იზრდება, ხოლო მრავალწლიანი ნარგავების ფართობი მცირდება.

ეს ცვლილებები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია რეგიონების მიხედვით და **იკვეთება შემდეგი ტენდენციური მახასიათებლები:** კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი გაიზარდა აჭარაში (0,8%), იმერეთში (0,3%), შიდა ქართლში (0,1%), კახეთში (0,9%), ქვემო ქართლში (0,6%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (0,2%). შემცირდა გურიაში (3,6%) და სამცხე-ჯავახეთში (0,1%). განსაკუთრებით აღინიშნება სახნავი ფართობის შემცირება რაჭა-ლეჩხუმში (2,2%), მრავალწლიანი ნარგავებისა იმერეთში (2%), რაჭა-ლეჩხუმში (5,6%), შიდა ქართლში (2,3%), მცხეთა-მთიანეთში (1,3%), ქვემო ქართლში (4,4%), სამცხე-ჯავახეთში (6,2%).

გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან რეგიონთა უმრავლესობაში იზრდება სახნავი მიწები, ხოლო

მრავალწლიანი ნარგავები რამდენადმე მცირდება, აღინიშნება სათიბ-საძოვრების ზრდაც. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს სავარგულების არაეფექტურ და არაინტენსიურ გამოყენებაზე. ინტენსიური სავარგულების დაბალინტენსიურში გადაყვანა აიხსნება იმით, რომ მიწის მესაკუთრეების უმეტესობა არ, ანდა ვერ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რის გამოც ის გადადის სათიბ-საძოვრების კატეგორიაში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ სანქციებს ამ თვალსაზრისით, რამეთუ ეროვნული ეკონომიკის 17-18% პირდაპირ არის დამოკიდებული აგრარულ ბაზარზე.

ნათესი ფართობის რეგიონიზაცია საშუალებას იძლევა შევამჩნიოთ შემდეგი ტენდენციები:

– აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ნათესი ფართობი უპირატესად დაკავებულია საშემო-დგომო და საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეულით, სიმინდით (კახეთი, ქვემო ქართლი), ლობიოთი და სხვა პარკოსანი კულტურებით (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი), მზესუმზირით (კახეთი), კარტოფილით (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), ბოსტნეული კულტურებით მეტ-ნაკლებად ყველგან), საკვები კულტურებით (უპირატესად ქვემო ქართლი და სამცხე ჯავახეთი).

– დასავლეთ საქართველოს რეგიონების ნათესი ფართობს ძირითადად იკავებს სიმინდი (იმერეთი, სამეგრელო) და ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურები.

აშკარავდება, რომ ინტენსიური სავარგულების დიდი ფართობები ტრანსფორმირდება დაბალინტენსიურ სავარგულებში, რისი მიზეზიცაა ეროზიული პროცესების განვითარება. ეს იმის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს, რომ უნდა გატარდეს კულტტექნიკური და აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რათა მოხდეს ამ მიწების ტრანსფორმირება სახნავში.

ყოველი ჰექტარი მიწის სავარგულების შენარჩუნებისა და ინტენსიური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი რაციონალური და მკაცრად მიზნობრივი გამოყენება და დაცვა მანვე პროცესებისაგან. ამით თავიდან იქნება აცილებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასასურველი ტრანსფორმაცია;

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ მიწების გამოყენება, რომლებიც სპეციალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში, მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული განიცდის ეროზიულ ზემოქმედებას, ხოლო

ეროზირებულია 852,0 ათასი ჰექტარი, დამლაშებული, ბიცი და ბიცობია 250,0 ათასზე მეტი ჰექტარი სავარგული.

გამოვლინდა, რომ უკანასკნელ წლებში მემცენარეობის დარგებთან შედარებით უფრო სტაბილურად იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები, ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემცენარეობის დარგის ხვედრითი წილი შეადგენს 50,2 %, (1988 წლამდე ეკავა 47-48%), რაც გამოწვეულია მეხილეობის, მევენახეობისა და მეციტრუსეობის ხვედრითი წილის ზრდით. მეცხოველეობის დარგის ხვ. წილი, 49,8 % შეადგინს.

მეცხოველეობის დარგებიდან თავისი სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით გამოირჩევა და პირველ ადგილზეა მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (მთლიან პროდუქციაში-35,4%-ით). აღნიშნული მდგომარეობა გაპირობებულია მეცხოველეობის პროდუქციაზე მზარდი და გაცილებით მაღალი საბაზრო ფასებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს დარგები მაინც სუსტად არის განვითარებული, ვერ პასუხობენ ბაზარზე შექმნილ მერყევ კონკურენციას და მოთხოვნა-მიწოდების მოტივაციებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის რეგიონული სურათის ტენდენციური და კანონზომიერი ხასიათი შემდეგნაირად იკეთება:

- აღმოსავლეთ საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მემცენარეობის დარგებიდან განსაზღვრავს თავთავიანი მემარცვლეობა (რეგიონების მიხედვით 4.9% (სამცხე-ჯავახეთი)-20.7% (კახეთი), მებოსტნეობა (3.4% (კახეთი)-16.9% (ქვემო ქართლი), მეხილეობა (4.2% (კახეთი)-29.4% (შიდა ქართლი), მევენახეობა (0.2% (სამცხე-ჯავახეთი)-22.2% (კახეთი).
- დასავლეთ საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მემცენარეობის დარგებიდან განსაზღვრავს მესიმინდეობა (2.3% (აჭარა)-19.7% (გურია, სამეგრელო) და მებოსტნეობა (1.4% (აჭარა)-3.8% (იმერეთი).

შეიმჩნევა ის უარყოფითი და ეკონომიკურად გაუმართლებელი კანონზომიერება, რომ დასავლეთ საქართველოში არცთუ დიდი ხნის წინათ (1990-იან წლამდე) მაპროფილებელ დარგს-მეჩაიეობას სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში ძალზე უმნიშვნელო ხვედრითი წილი უკავია, რომელიც 1.1 %-იან დონეს არ აღემატება. რაც შეეხება მეციტრუსეობას, მის წილად მოდის 2.5% სამეგრელოში, 15.8% გურიაში და 46.1% აჭარაში.

მეცხოველეობის დარგებიდან, აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (19.1% (კახეთი)–46.7% (მცხეთა-მთიანეთი), მელორეობა (1.6% (ქვემო ქართლი)–9.6% (მცხეთა-მთიანეთი), მეცხვარეობა (0.5%–3.5% (ძირითადად მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში) და მეფრინველეობა (ძირითადად ქვემო ქართლში-16.3%, კახეთსა (6.9%) და შიდა ქართლში (3.0%).

დასავლეთ საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მეცხოველეობის დარგებიდან განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (29.5% (აჭარა)–45.8% (რაჭა-ლეჩხუმი), აგრეთვე მეფრინველეობა (1.7% (აჭარა)–8.5% (იმერეთი და სამეგრელო). რაც შეეხება მელორეობას, იგი გაადვილებულია იმერეთსა (7/2%) სამეგრელო-ზემო-სვანეთში (11.2%), გურიასა (5.4%) და რაჭა-ლეჩხუმში (16.3%).

როგორც საგანგებო გათვლები და სოფლის მეურნეობის სიტუაციური ანალიზი ადასტურებს, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის არსებული არასტაბილური დონე (ხასიათი) გარკვეული დროის მანძილზე კვლავ იქნება შენარჩუნებული, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ყოფილი და ახალი ბაზრების დაბრუნებით არ იქნება მიღწეული მეხილეობის, მევენახეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგების განვითარების ოპტიმალურად რეალური და ამასთან, მისაღები პირობები და შესაბამისად მასშტაბები.

ნიშანდობლივი და ხაზგასასმელია, რომ მაინც, ნელ-ნელა იკვეთება, ქვეყნის ცალკეულ რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის გაღრმავების ტენდენცია, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს. ეს, დასტურდება მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზითაც. წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებლის-სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოსავალი 1 ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე-ცვლილებაზე ყველაზე დიდი გავლენას ახდენს წარმოების სპეციალიზაციის დონე, რომლის ერთი პროცენტით ზრდა იწვევს ამ შედეგობრივი მაჩვენებლის 0,46 %-ით ზრდას.

მძიმე ეკონომიკური პირობებისა და იმის გამო, რომ არ არსებობს გარანტირებული სასურსათო ბაზარი, მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ისეთი სასურსათო პროდუქტების წარმოებას, როგორცაა: მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქცია, ამიტომაც, 1988 წლიდან მოყოლებული მარცვლეულის წარმოების ხვ. წილი 7,5 % იდან 11.8 % მდე ამა-

ლღა, ბოსტნეულისა-6.7 დან 7.4 % მღე, კარტოფილისა 5.2 დან 7.6%-მღე.

სარეკომენდაციო დებულების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდება უნდა მოხდეს, როგორც სულადობის მაქსიმალურად ზრდის, ისე მაღალპროდუქტიული, ელიტური პირუტყვის შემოყვანით (ეს პროცესი უკვე დაწყებულია), ძირითადად კი აბორიგენული პირუტყვის მოშენებისა და ჯიშური გაუმჯობესების საფუძველზე მიღწეული პროდუქტიულობის ამაღლების გზით. ეს უკანასკნელი კი ადგილობრივი, იაფი ბუნებრივი საკვები სავარგულების მაქსიმალურად ათვისების საშუალებას მოგცემს.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას, ჯიშურ შემადგენლობასთან ერთად განაპირობებს ფერმების სიდიდე, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის კონცენტრაციის დონე, პროდუქტიულობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, შენახვის ხერხები და სხვა ფაქტორები. დღეისათვის, ერთ გლეხურ მეურნეობაზე საშუალოდ 2-3 სული სხვადასხვა სახის პირუტყვი მოდის, რაც არაეფექტურია. იმისათვის, რომ ძირეული ცვლილებები მოხდეს მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში, აუცილებელია ადვადგინოთ და შეექმნათ მეფრინველეობის და მეცხოველეობის სხვა დარგების საშუალო და მსხვილი სპეციალიზირებული ფაბრიკები და ფერმერული მეურნეობები, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული მექანიზაცია და ახალი ტექნოლოგიები.

საყურადღებოა სასურსათო ბალანსის შედეგები, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განმსაზღვრელია.

როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს (ათას ტონობით): ხორბლის საკუთარი რესურსი შეადგენს 75, იმპორტი-788, მთლიანი რესურსი (მარაგის ჩათვლით)-1028; აღნიშნული მონაცემები კარტოფილის მიხედვით შეადგენს: 229, 52 და 381; ბოსტნეულის-190, 64 და 361; შაქრის-134, 253 და 736; მცენარეული ცხიმის- 6, 30 და 38; ყურძნის-227, 8 და 402; ხორცის-69,0, 53,3 და 124,1; რძისა და რძის პროდუქტების- 625, 77 და 722; კვერცხის (მლნ. ცალი)-438, 0 და 44.

ამის შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მოიხმარება (კგ-ით): ხორბალი-110; კარტოფილი-47; ბოსტნეული-58; მცენარეული ცხიმი-8; შაქარი-40; ყურძენი-36; ხორცი-27; რძე და რძის პროდუქტები-155; კვერცხი (ცალი)-.

საქართველოში შექმნილმა ეკონომიკურმა სიტუაციამ არსებითი გავლენა მოახდინა საწარმოთა შესაძლებლობებზე და არამდგრადი გახადა მათი საქმიანობა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ძირითადი სასურსათო პროდუქტების საკუთარი წარმოების მოცულობები დინამიკაში არასტაბილურია, რის გამოც მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლებიც დაბალია ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით და შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

როგორც ირკვევა, ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურათა განვითარების ხაზით დადებითი ძვრები მაინც შეიმჩნევა. გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული ფერმერთა დაკრედიტების მიმართულებით. სოფლად შეიქმნა საკრედიტო კავშირები, რამაც დიდი როლი ითამაშა მათთვის ფინანსური საკითხების მოგვარებაში, თუმცა ამ ფორმამ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგანაც მოითხოვდა დახვეწასა და ფერმერული მეურნეობის სპეციფიკისადმი უკეთ მორგებას. მთავარ ნაკლად ითვლება ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფერმერს კრედიტის დაბრუნებას თხოვდნენ იმაზე ადრე, ვიდრე შემოსავალს მიიღებდა.

აღნიშნული ვითარება მოითხოვს:

- სურსათის მწარმოებლებისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მათ ნებისმიერ ბაზარზე შეღწევას;
- სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური ფონდების შექმნას, ფასების დასარეგულირებლად;
- მოგების ზღვრული ნორმის დადგენას, რომლის ზევითაც რეალიზატორს, ქვეყნის ტერიტორიაზე მოწეული ჭირნახულის ნებისმიერ ბაზარზე გაყიდვის უფლება არ ექნება;
- იმპორტულ პროდუქციაზე ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ხარისხის მკაცრი კონტროლის გზით ისეთი ფასების დაწესებას, რომელიც 10-15 %ით მაღალი იქნება სამამულო წარმოების პროდუქციაზე;
- სტრატეგიული სასურსათო პროდუქციის წარმოებისათვის დოტაციის დაწესებას და მისი გაცემის მექანიზმის დამუშავებას;
- ხელმისაწვდომი საკრედიტო სისტემის შექმნას;
- მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის არსებული ზედმეტი საშუაშავლო რგოლების აღმოფხვრას;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის რაიონულ რგოლებში სამარკეტინგო სამსახურების

შექმნას, რომელმაც უნდა განსაზღვროს პროდუქტებზე ბაზრის სავარაუდო მოთხოვნილება და შესაბამისად მისი შესაძლო უზრუნველყოფის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, ამასთან,

ადგილებზე უზრუნველეს პროდუქციის შესყიდვა და შემდგომი რეალიზაცია, წინასწარ განსაზღვრული ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად.

Distinguished Tendencies in Agriculture - the Basis for Estimated Prognosis

O. Keshelashvili-

Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract (Internet Version)

Based on the study of major tendencies in the development of agriculture in Georgia, some positive changes have been identified in recent years in respect with the use of economic and technological environment and growth of Agricultural economy.

There is a tendency of increase in arable lands and pastures in most regions, but areas with perennial plants decreases. This fact indicates to ineffective and non-intensive application of the arable lands. Changing intensive arable lands in non-intensive could be explained by the fact that the majority of owners do not or can not cultivate the land, so the land turns into a pasture.

It should be mentioned, that the tendency of the improvement of agriculture and industrial specialization is increasing, which will bring economic effect in agriculture.

The studies show that the volume of local production of agricultural products is not stable, therefore, the indicator of population food supply is also low in compare with physiological norms, and is characterized by a tendency to decrease.

2. მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია Mechanization and Electrification

**ფერმერული მეურნეობის სარემონტო
სასოფლოსო დაგეგმარება სასოფლო
სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მოსახურებისა
და რემონტისათვის**

ჯემალ კაციტაძე-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,
გიორგი ქუთელია-
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტი,
იოსებ აბულაძე-
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი,
გონა ბერიძე-
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
რომან მარგალიტაძე-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი

სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდისა და ENPAR -ის პროგრამის დაფინანსებით.

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნა სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სერვისის საქმეში. ფერმერებსა და კერძო მეწარმეებს არ გააჩნიათ სათანადო მოწყობილობებით აღჭურვილი სარემონტო სახელოსნოები და ამიტომ, მანქანების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხდება კუსტარულად, დაბალი ხარისხით, ხოლო მათი თვითღირებულება კი მაღალია. აღნიშნული მდგომარეობა ნაწილობრივ იმითაც არის გამოწვეული, რომ

სარემონტო სფეროდან მოხდა სპეციალისტების გადინება ბიზნესის სხვა დარგებში, ხოლო ახალი პერსონალი კი დაბალ კვალიფიციურია. აქედან გამომდინარე ფერმერები განიცდიან ტიპური სახელოსნოებისა და სპეციალისტების დეფიციტს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სასოფლო სამეურნეო სამუშაოების შესაბამის აგროვალებში შესრულებაზე და პროდუქციის მოსავლიანობაზე.

სტატიაში წარმოდგენილია მარტივი სარემონტო სახელოსნოს ძირითადი პარამეტრების ანგარიში ფერმერული მეურნეობისათვის მანქანების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის, ნაჩვენებია მისი გეგმა აუცილებელი ჩარხ-დანადგარებით და ასევე მოძრავი სახელოსნო საველე პირობებში გადაუდებელი სამუშაოების შესრულებისათვის.

საქართველოში ინტენსიურად შემოდის საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, როგორცაა აშშ, იაპონია, გერმანია, ჩინეთი, იტალია, პოლანდია და სხვა. ხდება ასევე ტექნიკის შემოტანა რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან და ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია სოფლის საქონელმწარმოებელთა ტექნიკური უზრუნველყოფა და სერვისის ხარისხი [1]. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ჩვენთან შემოტანილია მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ჯერ კიდევ ვერ იქნა დაძლეული კრიზისული მდგომარეობა აგრარული სექტორის ტექნიკით უზრუნველყოფაში, რის გამოც სინეკლებს განიცდიან ახლადჩამოყალიბებული კერძო და ფერმერული მეურნეობები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით [2] 2014 წლისათვის აგრარული სექტორის ტექნიკური სერვისის საწარმოთა სფეროდან წავიდა 76%-ზე მეტი საუკეთესო სპეციალისტი, რომლებიც ჩაერთვეს ბიზნესის სხვა სფეროებში. ფერმერული და გლეხური მეურნეობებისა და კერძო პირების მიერ შექმნილ მანქანების სარემონტო სახელოსნოებში და ტექნიკური სერვისის საწარმოებში მომსახურების ხარისხი დაბალია, შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება კი—მაღალი. შედეგად, ტექნიკა მუშაობს ცუდად და მისი მზადყოფნის კოეფიციენტი 40..45%-მდეა დაყვანილი, რაც იწვევს კატასტროფულ მდგომარეობას შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების ჩატარების საქმეში-ფერმერთა მიზანი და საზრუნავია, როგორმე მოხნან მიწა, აიღონ მოსავალი და იმყოფინონ ძვირადღმეძენილი საწვავ-საცხი მასალები.

აღნიშნულ ტექნიკას ყოველდღიურ და მარტივ ტექნიკურ მომსახურებას უტარებენ თვით ფერმერები და გლეხები, მაგრამ, რთული ტექნიკური მომსახურებისა (მეორე და მესამე სახის) და რემონტის ჩატარებისათვის საჭიროა ფერმერულ მეურნეობაში

აშენდეს მარტივი სარემონტო სახელოსნო, რომლის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშება და გეგმა მოცემულია ქვემოთ:

- ვანგარიშობთ სახელოსნოს წლიურ ნომინალურ დროის ფონდს ფორმულით [3]:

$$\Phi_{\text{ნომ}} = (k_{\text{კალ}} - k_{\text{გ}} - k_{\text{დ}}) \cdot t_{\text{ცვ}} \cdot n$$

სადაც : $\Phi_{\text{ნომ}}$ - სახელოსნოს ნომინალური დროის ფონდია, სთ.
 $k_{\text{კალ}}$ - წელიწადში კალენდარული დღეების რაოდენობა და ტოლია: $k_{\text{კალ}} = 366$ დღე. ზოგადად კი $k_{\text{კალ}} = 365$ დღე.
 $k_{\text{გ}}$ წელიწადში გამოსასვლელი დღეების რაოდენობა და 2016 წლისათვის $k_{\text{გ}} = 105$
 $k_{\text{დ}}$ სადღესასწაულო დღეების რაოდენობა, $k_{\text{დ}} = 10$
 $t_{\text{ცვ}} = 8,25$ სთ - ცვლის ხანგრძლივობა
 $n = 1$ - ცვლათა რიცხვი. შესაბამისი სიდიდეების ჩასმით მივიღებთ:

$$\Phi_{\text{ნომ}} = (k_{\text{კალ}} - k_{\text{გ}} - k_{\text{დ}}) \cdot t_{\text{ცვ}} \cdot n = (366 - 105 - 10) \cdot 8,2 = 2058,2 \text{ სთ}$$

სახელოსნოს ნამდვილი დროის ფონდი ითვალისწინებს მუშების მოცდენას (შვებულება, ავადმყოფობა, ბუნებრივი მოთხოვნისგან) და ტოლია:

$$\Phi_{\text{ნამ}} = (0,80 \dots 0,85) \cdot \Phi_{\text{ნომ}} = (0,80 \dots 0,85) \cdot 2058,2 = 1646,6 \dots 1749,5 \text{ სთ.}$$

ვიღებთ $\Phi_{\text{ნამ}} = 1700$ სთ.

მანქანების რემონტების რაოდენობის გაანგარიშების რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომლებიც ითვალისწინებს მათ წლიურ დატვირთვას, მანქანების სახეს, რაოდენობასა და რემონტის შორისო ნამუშევარს. ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც საქმე გვაქვს შედარებით მარტივ ტექნიკასთან, რემონტების რაოდენობას ვიღებთ საშუალოდ $N_r = 400$. ამის შემდეგ ვანგარიშობთ სარემონტო სახელოსნოს მიერ წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა შრომატევადობას:

$$D = D_{\text{ტმ}} + D_{\text{რემ}}$$

$D_{\text{ტმ}}$ - ტექნიკური მომსახურების ჩატარებისათვის საჭირო შრომატევადობაა და ტოლია:

$$D_{\text{ტმ}} = d_{\text{ტმ}} \cdot N_{\text{ტმ}}$$

$d_{\text{ტმ}}$ - ტექნიკური მომსახურების ჩატარებისათვის საჭირო ერთეული შრომატევადობაა და ტოლია:

$$d_{\text{ტმ}} = 3 \text{ კაც.სთ, ხოლო } N_{\text{ტმ}} = 3, N_r = 3 \cdot 400 = 1200. \text{ მაშასადამე:}$$

$$D_{\text{ტმ}} = d_{\text{ტმ}} \cdot N_{\text{ტმ}} = 3 \cdot 1200 = 3600 \text{ კაც.სთ}$$

$$D_{\text{რემ}} = d_{\text{რემ}} \cdot N_r = 12 \cdot 400 = 4800 \text{ კაც.სთ}$$

$$D = D_{\text{ტმ}} + D_{\text{რემ}} = 3600 + 4800 = 8400 \text{ კაც.სთ}$$

გარდა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისა სარემონტო სახელოსნომ წლის განმავლობაში უნდა შეასრულოს დამატებით ისეთი სამუშაოები, როგორცაა მეცხოველეობის მანქანების მომსახურება, მარტივი დეტალების დამზადება, საკუთარი დაზგა-დანადგარების მომსახურება და რემონტი. მათი ჯამური შრომატევადობა აიღება მთლიანი შრომატევადობის 20%. გვექნება.

$$D1=0,2 \cdot D=0,2 \cdot 8400=1680 \text{ კაც.სთ}$$

სარემონტო სახელოსნოს მიერ წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოების შრომატევადობა იქნება:

$$D\text{წ}=D+D1=8400+1680=10080 \text{ კაც.სთ}$$

ამის შემდეგ ვანგარიშობთ დასავგებმარებელი სარემონტო სახელოსნოს სიმძლავრეს ფორმულით:

$$W=D\text{წ}/300$$

სადაც, 300 არის სტანდარტით გათვალისწინებული ერთი პირობითი რემონტის შრომატევადობა, კაც.სთ. გვექნება:

$$W=D\text{წ}/300=10080/300 \approx 34 \text{ პირობითი რემონტი.}$$

მიღებული რიცხვის მიხედვით ვირჩევთ ტიპურ სარემონტო სახელოსნოს №816-69, რომლის გეგმა შესაბამისი ჩარხ-დანადგარების ჩვენებით ნაჩვენებია ნახ.1-ზე


ვანგარიშობთ სახელოსნოსათვის საჭირო მუშახელის სიობრივ რაოდენობას ფორმულით [4]:

$$P_{\text{ს}}=D\text{წ} \cdot \text{ნამ}=10080 \cdot 1700=6$$

გამოსაცხადებელი მუშების რაოდენობა:

$$P_{\text{გ}}=D\text{წ} \cdot \text{ფნომ}=10080 \cdot 2058,2=5$$

ქვემოთ, ნახაზ 1-ზე წარმოდგენილია ჩვენს მიერ დაგეგმარებული სარემონტო სახელოსნოს გეგმა სავარაუდო ჩარხ - დანადგარების ჩვენებით:




ნახ.1 ტიპური სარემონტო სახელოსნოს გეგმა

I-მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების უბანი. II-ელექტროსადგური. III-სათადარიგო ნაწილების, მასალებისა და იარაღების საწყოები. IV-სამჭედლო-საშემდუღებლო უბანი. V-კვების აპარატურისა და ელექტრომოწობილობების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის უბანი. VI-საპოხი მასალების საწყოები. VII-საქვაბე. VIII-საყოფაცხოვრებო სათავსოები.

1.საზეინკლო ვერსტაკი. 2.ჰიდრაულიკური წნეხი. 3.მაგიდის სალესი ჩარხი. 4.ვერტიკალური საბურღი ჩარხი. 5.სახარატო ხრახნმჭრელი ჩარხი. 6.კარადა იარაღისათვის. 7.ყუთი ქვიშისათვის. 8.მოძრავი სარეცხი აბაზანა. 9.სოლიდოლის ელექტრომექანიკური დამჭირხნი. 10.ავზი სამუხრუჭე სითხისათვის. 11.ზეოსარიგებელი მაგიდა. 12.ამწე კრანი. 13.ბერკეტული მაკრატელი. 14.მოძრავი სამონტაჟო მაგიდა. 15.მაგიდის საბურღი ჩარხი. 16.მოძრავი კომპრესორი. 17.დიზელის ელსადგური. 18.კარადა. 19.სტელაუი. 20.ყუთი მასალებისათვის. 21.სამჭედლო ქურა. 22.სამჭედლო ვენტილატორი. 23.ყუთი სამჭედლო იარაღისათვის. 24.ურო. 25.გირაგი. 26.სახეხი ჩარხი. 27.ელექტროსაშემდუღებლო გარდამქმნელი. 28.მაგიდა საშემდუღებლო სამუშაოებისათვის. 29.ურიკა ჟანგბადის ბალონის გადატანისათვის. 30.კარადა ჟანგბადის ბალონის შენახვისათვის. 31.წნეხი

ფერმერული მეურნეობის საველე პირობებში ტექნიკური მოსახურებისა და გადაუდებელი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო სამეურნეო ოპერაციების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებასთან (თესვა, მოსავლის აღება და სხვა), საჭიროა გამოყენებული იქნას ავტომოძრავი სახელოსნო. იგი შედგება მაღალი გამავლობის ავტომობილის შასზე დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობებით აღჭურვილი დახურული ძარისაგან და ერთდერძიან მისაბმელზე დამონტაჟებული ელექტროშემდუღებელი აპარატისაგან.

ავტომოძრავი სახელოსნო აღჭურვილია ისეთი მოწყობილობებითა და იარაღებით, როგორცაა ელექტრობურღი, წნეხი, დომკრავი, კომპრესომეტრი, სვეტოსკოპი, მფრქვევანების შესამოწმებელი ხელსაწყო და სხვა. ავტომოძრავი სახელოსნოს ძარაში მოწყობილობების სქემა მოცემულია ნახ.2-ზე.



ნახ.2.3. ავტომობილური სახელოსნოს ძარაში მოწყობილობების განლაგების სქემა
 1-კაბინა, 2-ძარა, 3-ელექტროგამანაწილებელი დაფა, 4-ცვლადი დენის გენერატორი, 5-შტატივი ელექტროდრეღით, 6-უთო დივანი, 7-სათადარიგო თვალი, 8-სატუმბავი სარეცხი დანადგარი, 9-ძარის კარები, 10-სპეციალური დაზგა, 11-სახეხი ჩარხი, 12-ჰიდრაულიური წნეხი, 13-სახეთი მასალის შესანახი

ნახ.2. 1.კაბინა. 2.ძარა. 3.ელექტროგამანაწილებელი დაფა. 4.ცვლადი დენის გენერატორი. 5.შტატივი ელექტროდრეღით. 6.უთო დივანი. 7.სათადარიგო თვალი. 8.სატუმბავი სარეცხი დანადგარი. 9.ძარის კარები. 10.სპეციალური დაზგა. 11.სახეხი ჩარხი. 12.ჰიდრაულიური წნეხი. 13.სახეთი მასალის შესანახი და სარეგულირებელი ხელსაწყოები. 14. სახეინკლო გირავი. 15.მფრქვევანების შემამოწმებელი და სარეგულირებელი ელექტრიფიცირებული ჯალამბარი. 18. ცეცხლსაქრობი.

მოდრავ სახელოსნოს გაანჩია სპეციალური ტუმბო მანქანების გარეგანი გარეცხვისათვის, რომელიც ქმნის მაღალ წნევას. ამოდრავ წყაროდ გამოყენებულია ავტომობილის ძრავი, ავტომობილის შახზე დადგმულია გენერატორი. სახელოსნოს გამოყენებით შესაძლებელია შესრულდეს შემდეგი სახის სამუშაოები: მანქანების რეგულირება, ქანებისა და ჭანჭიკების მოჭერა, სარქველების ბუდეების ფრეხირება, სარქველების მიხეხვა, მფრქვევანების შემოწმება წნევაზე, რადიატორის რჩილვა, ბურღვა, პნევმატიკური საბურავების მოხსნა და დაყენება, დეტალების ამოწნეხვა-ჩაწნეხვა, 1200 კგ-მდე მასის ტვირთების ტრანსპორტირება, ელექტრომედულება, მანქანების გარეცხვა.

დასკვნები

1. გაანგარიშებული და დაგეგმარებულია მარტივი სარემონტო სახელოსნო ფერმერული მეურნეობისათვის მანქანების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის.
2. მოცემულია ავტომობილური სახელოსნოს სქემა და საჭირო მოწყობილობები ფერმერული მეურნეობების მიერ სავლევ სამუშაოების შესრულებისათვის

ლიტერატურა

1. ჯ. კაციტაძე მანქანების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, თბილისი, 2002.-203 გვ.
2. ჯ. კაციტაძე და სხვ. მანქანების ტექნიკური სერვისი, 2008, 285 გვ.
3. Дж. Кацитадзе, Ш.Чалаганидзе, Проблемы технического сервиса сельскохозяйственных машин в Грузии с учетом горных условий работы и основные направления его усовершенствования, Труды академии с.х. наук Грузии, т. 29, Тбилиси, 2011, с.385-389
4. ჯ. კაციტაძე და სხვ. სამეცნიერო-მეთოდური რეკომენდაციები საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო სამეურნეო მანქანების საიმედოობის გაანგარიშების, გაზრდისა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების შერჩევისათვის, თბილისი, 2012, 237 გვ.

Designing a repair shop for farm maintenance and repair

J. Katsitadze, G. Kutelia, I. Abuladze, G. Beridze, R. Margalitadze

Abstract

(Internet Version)

Recently, there were some problems in the organization of service of agricultural machines in Georgia. Farmers and private entrepreneurs do not have well-equipped repair shops. Repairs and maintenance are carried out homemade, with a low quality, while their prime cost is high. The situation is partly due to the fact that, in the field of repairing there was a leak of professionals who moved to different areas of business, and new staff has low qualifications. Farmers experience the deficiency of typical repair shops and specialists, which adversely affects the performance of agricultural works within the relevant agronomic terms as well as the crop capacity of output.

The article presents the calculation of basic parameters of a simple farm workshop for the repair and maintenance of agricultural machinery, shows its plan with basic equipment, as well as mobile workshop for the implementation of urgent works under field conditions.

3.

Scientific work of Azerbaijani Researchers

()
a

, - , ,
.
.
, , ,
, , ,
, 7000 .
V .
, XV -XVII ,
, , ,
, .
-
,
.

, 1929- -
 . 1925- .
 , 1958- -
 . , -
 , -
 , , ,
 , .
 ,
 - 3113 , 1970- 1993- - 3664 , 1980- 1960- - 4981
 - 5924 .
 2 7
 , 3,6-4,3
 150 (.
).
 . 3 -
 : , -
 . 250-350 - , -
 30 . 10-15 % .
 . 7 -
 . -
 2000 10 .
 , , 1991- ,
 .

1992-
1992-
5220 , 185,6
1994-177,7 , 1996-762 1431 ,
1996-9,9
1)
), 85-90 %
)
2) ;
20% 1988-
1000
3) 1990-1995

2005-

" ()

8 5 2/1 35/2

2005-

12-

(F₁₂).

1. 1990, 239
2.
3. . IV, . II, , 1888 . , 1927,
4. 5.
5. - . - 30 , 50 .

«

11- -15- 2005- . », , , , () , 23 .

Short information about silkworm breeding and silkworm science

Mammadov Qafar

Azerbaijan Republic, Goy-gol city
Ministry of Agriculture Scientific
Research institute of livestock

Abstract

(Internet Version)

The home of silkworm breeding is People's Republic of China. Silkworm breeding was developed in V century. It was a profitable branch.

Azerbaijan produced 5921 t cocoon in 1991. In 1992-2015 silkworm breeding was decayed in Azerbaijan. The decay stopped in 2016. In 1925 silkworm breeding pedigree station was established in Ganja. In 1949 it turned into Scientific Research institute silkworm breeding.

The world wide scientist's professor R.A.Huseynov, academic I.Abdullayev, professor A.Aliyev, doctor of agriculture science N.Badalov and so on represented. Azerbaijani silkworm breeding science. They created number of mulberry silkworm races, hybrids, mulberry. Many new agricultural rules were prepared for silkworm breeding.

Namazli 1, 2, 3, Ugur, Khayal, Vatan, Garabag, Azeri races, Nizami, Ilyas, Faxrali sorts were made.

Scientific research institute of silkworm breeding is cooperating with SRISB of Georgia Agriculture state University, silkworm breeding and farming experiment station of Sofia Agriculture Academy of Bolgary and FAO. New international sexes, hybrids and sorts were made.

4. **მეცნიერება** **plant-industry**

ციტრუსოვანთა პლანტაციების მდგომარეობა და რეაბილიტაციის პერსპექტივები

ნელი ხალვაში-
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ავთანდილ მესხიძე-
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
დავით ბარათაშვილი-
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო ქედელიძე-
დოქტორანტი


სტატია მომზადებულია საგრანტო თემის
„აჭარა-გურიის მანდარინის ბაღების არსებული
მდგომარეობის შესწავლა და რეაბილიტაციისათვის
უახლესი ტექნოლოგიის დანერგვა“ AR/189/10-160/14,
ფარგლებში.

რეზიუმე (ინტერნეტული ვერსია)

ნაშრომში განხილულია სოფლის მეურნეობის ერთ დროს წამყვანი დარგის მეციტრუსეობის დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და დასახულია მეციტრუსეობის განვითარების პერსპექტივები. ნაშრომში წარმოდგენილია იმ ტექნოლოგიებისა და ღონისძიებების უპირატესობები, რომლებიც აუცილებელია ციტრუსოვანთა ამორტიზებული პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების გავრცელების ისტორია შორეულ წარსულთან არის დაკავშირებული, თუმცა, მისი სამრეწველო მიზნით გავრცელება სათავეს იღებს


მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. გასული საუკუნის დასაწყისში (1910-1911წწ) სუსხიანმა ზამთარმა საბოლოოდ დაადასტურა მანდარინ უნშიუს უპირატესობა სხვა, ნაკლებად ყინვაგამძლე ციტრუსებს შორის [1]. აღნიშნულის გამო, მოსახლეობის მოთხოვნილება მანდარინის ნერგებზე თანდათანობით იზრდებოდა და 1914 წლის დასაწყისისათვის საქართველოში ციტრუსებით დაკავებული ფართობი შეადგენდა 400-500 ჰექტარს. მიუხედავად იმისა, რომ 1916-1917 წლის ყინვიანმა ზამთარმა 160 ჰა-მდე შეამცირა ციტრუსოვანთა ფართობები, მოსახლეობას მაინც არ დაუკარგავს ინტერესი ციტრუსების მიმართ და პლანტაციების გაშენების პროცესი არ შეჩერებულა. 1930 წლისათვის საერთო ფართობი უკვე 1000ჰა-ზე მეტი იყო. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა 30-იანი წლებიდან და 1940 წლისათვის 7770 ჰა მიაღწია, სამწუხაროდ 1944-1945 წწ სუსხიანმა ზამთარმა კვლავ შეამცირა ციტრუსების ქვეშ არსებული ფართობები და 1950 წლისათვის 4170 ჰა-მდე შემცირდა, თუმცა პლანტაციების გაშენება კვლავ სწრაფი ტემპით გაგრძელდა და 1955 წლისათვის 7848 ჰა-ს მიაღწია.



დიაგრამა 1. ციტრუსის ფართობების ცვალებადობის დინამიკა აჭარაში 1910-1975 წწ.

გასულ საუკუნეში, მკაცრი, ყინვიანი ზამთარი რამდენჯერმე განმეორდა, რომლის შედეგებიც ნათლად ჩანს დიაგრამებზე (დიაგრამა 1-3), თუმცა, ციტრუსების გაშენების პროცესი და

მისდამი ინტერესი არ შეჩერებულა და 1985-1989წწ ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობმა 89453ა-ს მიაღწია (დიაგრამა 2).




დიაგრამა 2. ციტრუსის ფართობების ცვალებადობის დინამიკა აჭარაში 1980-2000 წწ.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა უარყოფითად აისახა თითქმის ყველა დარგზე, ეს, განსაკუთრებით შეეხო ისეთ პრიორიტეტულ დარგებს, როგორცაა მეციტრუსეობა და მეჩაიეობა. 1990 წლისთვის საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ქვეშ ფართობების გაზრდა ნავარაუდები იყო 29,6 ათას ჰექტარამდე, ხოლო მოსავლიანობისა–508.4 ათას ტონამდე, თუმცა, ქვეყანაში შექმნილი უაღრესად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ამ დარგისათვის აღარავის ეცალა.

მეციტრუსეობის დეგრადაციის პროცესი ფაქტიურად 1987 წლის შემდეგ დაიწყო და თითქმის 30 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც არასტაბილური გახდა, როგორც მეციტრუსეობის, ასევე სხვა სუბტროპიკულ კულტურების მოსავლიანობა და მათი პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები. დაეცა საბაზრო ფასები, გართულდა ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია. პროდუქციის გასაღების ბაზრის დაკარგვამ, გადამმუშავებელი მრეწველობის უგულვებელყოფამ და საკანონმდებლო ბაზის გარეშე მიწების


სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში გადანაცვლებამ, მნიშვნელოვნად დაასუსტა ციტრუსებისადმი მოსახლეობის ინტერესი. გაქრა ციტრუსოვანთა მრავალი ჯიში, მოიშალა შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურა, საკვლევი ბაზები, განადგურდა მრავალწლიანი საველე ცდები, საცდელ - საკოლექციო ნაკვეთები და ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო სადგურები, გაწყდა კავშირი მეცნიერებსა და ფერმერებს შორის, გარკვეული პერიოდით შეწყდა ახალი ჯიშების ინტროდუქცია. გარდა ამისა, სახელმწიფო ფერმერებს ვერ თავაზობდა შეკვეთებს ამა თუ იმ კულტურათა პროდუქციაზე [8]. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მანდარინის საჰექტარო მოსავალი კერძო სექტორში შეადგენდა 40 ტ/ჰა, დღეისათვის კი 20–22 ტ/ჰა. მაღალი მოსავალი მიღწეული იყო სასუქების ზენორმიული დოზების გამოყენებით და შესაბამისად, პროდუქციის დაბალი სასურსათო ღირებულების ხარჯზე.

რთულმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ვითარებამ სერიოზული დამანგრეველი გავლენა იქონია არა მარტო მეციტრუსეობის დარგის განვითარებაზე, არამედ მთლიანად ფერმერთა ცნობიერებაზეც, სიტუაციის მოგვარების მოლოდინში მყოფმა ფერმერთა ნაწილმა ყოველგვარი რეკომენდაციების გარეშე ნაადრევად გამოუტანა განაჩენი ციტრუსოვან კულტურებს. ისინი ამოძირკვა და დაიწყო თხილისა და სხვა კულტურების გაშენება. საბედნიეროდ, ფერმერთა დიდი ნაწილი დღემდე ვერ იმეტებს ციტრუსებს მოსაჭრელად, ამიტომაცაა, რომ ციტრუსოვანთა ნარგავების ქვეშ ფართობები ამ პერიოდში მკვეთრად არ შეცვლილა. აჭარაში, სამი წლის განმავლობაში (2007-2009) ციტრუსოვანთა ფართოვები მხოლოდ 2500 ჰექტრამდე შემცირდა, თუმცა 2010 წლიდან კვლავ დაიწყო მატების ტენდენცია (დიაგრამა 3). მსგავსი მდგომარეობაა გურიის რეგიონშიც.




დიაგრამა 3. ციტრუსების ფართობების ცვალებადობის დინამიკა აჭარაში 2000-2015 წწ.

ფართობების ცვალებადობის ადექვატურად იცვლებოდა მოსავლიანობაც, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 90-იანი წლებიდან და გაგრძელდა 2008 წლამდე (დიაგრამა 4-5).



დიაგრამა 4. ციტრუსების მოსავლიანობის ცვალებადობის დინამიკა აჭარაში 1980-1999 წწ.



დიაგრამა 5. ციტრუსების მოსავლიანობის ცვალებადობის დინამიკა აჭარაში 2000-2015 წწ.

2009 წლიდან, დადებითად შეიცვალა სიტუაცია, საკმაოდ გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობაც. მართალია, ბოლო წლებში ქართულმა პროდუქტმა ადგილი დაიმკვიდრა ახალ ბაზრებზე, თუმცა ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრების მაჩვენებლები დღეისათვის მაინც არადაამაკმაყოფილებელია, რადგანაც საქართველოდან გატანილი პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს. დღეისათვის, როდესაც შეიცვალა ბაზრის მოთხოვნები და უპირატესობა მიენიჭა ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიან პროდუქციას, ჩვენი ქვეყნის მანდარინი ვერ აღმოჩნდა კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. თუმცა, არავისში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მეციტრუსეობის, როგორც ერთ დროს ძალზე მომგებიანი დარგის აღორძინება კვლავაც შეიძლება. ასევე შესაძლებელია გადამმუშავებელი მრეწველობის აღდგენა და განვითარება, გასაღების ძველი ბაზრების დაბრუნება და ახლის მოძიება. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ქმედითი ღონისძიებების გატარება იმ მიმართულებით, რომ გაიზარდოს არა მარტო მანდარინის მოსავლიანობა, არამედ გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და სასაქონლო სახე. ყოველივე ამის გადაწყვეტის საშუალებას მოგვცემს ჩვენს მიერ ქვემოთ შემოთავაზებული ტექნოლოგიების განხორციელება:

დღეისათვის, აჭარაში მეციტრუსეობის დარგში დასაქმებულია 22880, ხოლო გურიაში კი 5100 ფერმერი. 2010 წლიდან დღემდე აჭარის რეგიონში შეინიშნება, როგორც ფართობების ზრდის ტენდენცია, ასევე მოსახლეობის დაინტერესება ციტრუსოვანი კულტურებისადმი, რაც გაპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან მეციტრუსეობის დარგისადმი ინტერესის გაზრდით.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი საერთაშორისო პროექტი და მიზნობრივი პროგრამა, რამაც ხელი შეუწყო ციტრუსოვანთა პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესს. გარდა ამისა, მეციტრუსეობის მიმართ ინტერესის ზრდას ხელი შეუწყო რუსთაველის სამეცნიერო ფონდის პროექტმა, რომლის ფარგლებში (2009-2011 წწ) ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში (წყავროკა, ხუცუბანი, ლეღვა, ქაქუთი, მახინჯაური, ახალშენი, ანგისა, სახალვაშო) 4 ჰა ფართობზე (16 ფერმერთან) მოეწყო მანდარინტიახარა უნშიუს საჩვენებელი ბაღები, რამაც პრაქტიკულად სასიკეთოდ შეცვალა მოსახლეობის განწყობა მეციტრუსეობისადმი. აღნიშნული პროექტის ლოგიკური გაგრძელებაა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი სამეცნიერო გრანტი (AR/189/10-160/14)-„აჭარა-გურიის მანდარინის ბაღების არსებული მდგომარეობის შესწავლა და რეაბილიტაციისათვის უახლესი ტექნოლოგიის დანერგვა“. პროექტმა შესაძლებლობა მოგვეცა კიდევ ერთხელ სიღრმისეულად შეგვესწავლა საქართველოში ციტრუსოვანთა პლანტაციების არსებული მდგომარეობა. პროექტის ფარგლებში აჭარა-გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ოზურგეთი) შერჩეული იქნა ხანდაზმული, გამეჩხერებული, ნაკლებად მსხმოიარე მანდარინის ბაღები, სადაც სწორი მიდგომითა და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებული მართვით შესაძლებელი გახდა ბაღების სრული რეაბილიტაცია. გარდა ამისა ფერმერთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ტარდებოდა სემინარები და ტრენინგები.

ჩატარებული ექსპედიციური გამოკვლევების შედეგად დათვალიერებული იქნა ასეულობით ციტრუსოვანთა პლანტაცია, გამოიკითხა ასეულობით ფერმერი, მოძიებული იქნა ინფორმაციები პლანტაციების ფართობებზე, მოსავლიანობასა და მეჩხერიანობაზე. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით დადგენდა, რომ სამწუხაროდ, ბოლი 30 წლის განმავლობაში უიმედოდ დარჩენილი მრავალი ფერმერი პლანტაციებში არ მიმართავდა არანაირ აგროტექნიკურ ღონისძიებას, ნაყოფს მოუკრეფელი ტოვებდა ხეზე, რის გამოც მცენარეები დაკნინდა, დიდი ნაწილი ამორტიზებულია, ნაწილი კი გახმა. ამას დაემატა სომატური მუტაციების თანდათანობითი დაგროვების გამო პლანტაციების ბიოლოგიური „დანაგვიანება“, ზოგიერთ ადგილზე მეჩხერიანობა შეადგენს 50%-ს. ანალოგიური პრობლემების გამო ციტრუსოვანთა მწარმოებელ ქვეყნებში ხშირად მიმართავენ პლანტაციების ამოძირკვას და მათ ხელახლა გაშენებას. ამისათვის კი ყველა ქვეყანაში არსებობს სადედე ბაღი, სადაც წარმოებს ელიტური სარგავი მასალის გამოყვანა, რომელიც ასევე მუდმივ კონტროლს და განახლებას საჭიროებს. საქართველოში ანალოგიური პრაქტიკა თითქმის აღარ არსებობს და ამ საქმით დაკავებულია მხოლოდ კერძო საწარმოები, რომელთა მიერ წარმოებული სარგავი მასალა მოკლებულია ყოველგვარ ჯიშობრივ სიწმინდესა და ნერგისათვის დამახასიათებელ სხვა სტანდარტებს [5].

პლანტაციების დათვალიერებამ, ფერმერებთან ჩატარებულმა საუბრებმა, არსებული მონაცემების ანალიზმა და ამ დარგში ჩვენი მოღვაწეობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა შევაფასოთ და გავაანალიზოთ დარგში შექმნილი მდგომარეობა და აქედან გამომდინარე გავაკეთოთ დასკვნა, რომ მეციტრუსეობის, როგორც დარგის დეგრადაციის მიზეზები მდგომარეობს შემდეგში:

- ფერმერთა მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც ვერ ახერხებდა სასუქებისა და შხამქიმიკატების შეძენას და აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას;
- ფერმერთა მიუწვდომლობა ახალ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე;

- ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.
- პლანტაციებში ხანდაზმული, ნაკლებად მსხმოიარე, ამორტიზებული მცენარეების არსებობა და მეჩხერიანობის მაღალი დონე;
- პლანტაციების რეაბილიტაციისათვის სტანდარტული სარგავი მასალის არარსებობა;

ჩამოთვლილ მიზეზებს გააჩნია თავისი სოციალური და ეკონომიური საფუძვლები, რომელთა ნაწილობრივ გამოსწორებაც კი ხელს შეუწყობს, როგორც ფერმერთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე მეციტრუსეობის დარგის აღმავლობას. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეისათვის, მოქმედი ციტრუსების აგროწესები მოძველებულია და ვერ პასუხობს 80 წლიანი პლანტაციების აღდგენისა და შემდგომი მოვლის პირობებს. ვფიქრობთ, ამორტიზებული ბაღების რეაბილიტაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას ტექნოლოგიების სწორი და ინტეგრირებული მართვა წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი ტექნოლოგიების გამოყენებას:

- ნიადაგის საფარის მოვლა/განოყიერებას;
- კულტივირების მინიმუმამდე დაყვანას ანუ ნიადაგის დატოვება გადაბარვის გარეშე;
- გასხვლა ფორმირებას;
- ციტრუსოვანთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების გატარებას;
- ციტრუსოვანთა პლანტაციებში ამორტიზებული მცენარეების ჩანაცვლებას მანდარინის პერსპექტიული საადრეო ჯიშებით (ტიახარა-უნშიუ, ოკიცუ-ვასე, მიჰო-ვასე, ქართული საადრეო, ადრეულა);

ნიადაგის საფარის მოვლა/განოყიერება გულისხმობს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას [3-4]:

- ნიადაგის ანალიზის ჩატარებას;
- ნიადაგის განოყიერებას (სასუქების პერიოდული შეტანა);
- დრენაჟის მოწყობას;
- საკულტივაციო სამუშაოების მინიმუმამდე დაყვანას ანუ ნიადაგის დატოვებას გადაბარვის გარეშე;
- საფარი კულტურების თესვას;

- მულჩირებას;
- **კულტივირების მინიმუმამდე დაყვანის უპირატესობები [5]:**
- შემწოვი ფესვთა სისტემა დაცულია მექანიკური დაზიანებისაგან;
- ნიადაგის ზედაპირი იფარება ორგანული მასით (მულჩი, კომპოსტი, საფარი კულტურები).
- შეუფერხებლად მიმდინარეობს ორგანული ნივთიერების დაგროვების პროცესი;
- ფესვები დაცულია ნიადაგში არსებული მავნე მიკრობებისაგან.

მანდარინის ბაღის გასხვლა ფორმირების უპირატესობები [5]:

- იზრდება ვარჯში სინათლის (მზის სხივები) შეღწევადობის ხარისხი და აერაცია;
- უმჯობესდება ნაყოფის ზომა და ხარისხი;
- ნიადაგში მცირდება დაავადებების გამომწვევი პათოგენების რიცხვი;
- უნაყოფო ტოტების მოჭრით იზრდება მოსავლიანობა;
- ქვედა ტოტების შეჭრა აადვილებს სარეველების მოცილებას, ნიადაგის დამულჩვას, ცელვას და სხვა ანალოგიური სამუშაოების ჩატარებას;
- სიმაღლის შემცირება ამცირებს მცენარის დაზიანების რისკს (კიბის გამოყენებით ზიანდება ტოტები);
- ამარტივებს მოსავლის აღებას და ამცირებს შრომის დანახარჯებს;
- ამცირებს დაავადების გადამტანი მწერების რაოდენობას.
- აჯანსაღებს მცენარეს.

ციტრუსოვანთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები ითვალისწინებს [5-7]:

- მავნე ორგანიზმებით გამოწვეული პრობლემების პრევენციას;
- მავნე ორგანიზმების სწორ იდენტიფიკაციას და მოსავლის შემცირების რისკის შეფასებას;
- მავნე ორგანიზმების პოპულაციის მონიტორინგს, მკურნალობის აუცილებლობისა და დროის განსაზღვრას;

- მართვის სხვადასხვა საშუალებების (ბიოლოგიური, აგროტექნიკური, ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური) გამოყენებას.

ციტრუსოვანთა პლანტაციებში ამორტიზებული მცენარეების ჩანაცვლებას მანდარინის პერსპექტიული საადრეო ჯიშებით აქვთ შემდეგი უპირატესობები [2]:

- დარგვის მაღალი სიხშირისა და უხვმსხმოიარობის გამო 20–30%-ით მეტ მოსავალს იძლევიან;
- მანდარინ უნშიუსთან შედარებით სიმწიფეში შედიან თითქმის ერთი თვით ადრე, რაც აუმჯობესებს და აადვილებს ნაყოფის დროულ რეალიზაციას;
- თოვლისა და ყინვისგან მათი დაცვა (თოვლისგან დაბერტყვა) უფრო მოსახერხებელია;
- დარგვიდან მე-2 წელს შედიან მსხმოიარობაში და 10-წლის ასაკში აღწევენ სრულ მოსავალიანობას;
- გამოირჩევიან დიდი ზომის (80-85 გრამი) ნაყოფებითა და კარგი სასაქონლო სახით;
- შემცირებულია აგროტექნიკური სამუშაოების განხორციელებაზე გაწეული დანახარჯები და კრეფის ვადები;

ჩვენ, როგორც მეციტრუსეობის დარგის სპეციალისტები, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მანდარინის გასხვლისა და ფორმირების, ნიადაგის საფარის მოვლისა და დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეციტრუსეობის დარგის აღორძინებას და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის („საქართველოში ციტრუსების წარმოების განვითარების პროგრამა“ ბრძანება #2-38, 16 თებერვალი 2015წ.) პრაქტიკულ განხორციელებას. ამისათვის კი აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სწავლება-კონსულტირების პროცესში, რათა მას ჰყავდეს უფრო მეტი მომხმარებელი ფერმერთა სახით, ამით კი საკუთარ წვლილს შევიტანთ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი დ. ხალვაში ნ. ნარინჯოვანთა ბიოლოგიური მრავალფეროვნება და გენეტიკური რესურსები საქართველოში. გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი 2016 წელი, 406 გვ.
2. გოლიაძე შ. მანდარინის ნაგალა ადრემწიფადი ჯიშების ზოგიერთი ბიოლოგიური თავისებურებანი. ჟურნალი სუბტროპიკული კულტურები, 1981 წელი, №5, გვ. 38-45.
3. მესხიძე ა. ცანავა ე. სუბტროპიკული ზონის დაბალნაყოფიერი ნიადაგების პროდუქტიულობის ამადლების ღონისძიებები. (მეთოდური მითითება), გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2006 წელი. 43 გვ.
4. ცანავა ვ. ლომინაძე შ. აგროქიმიკა. გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2014 წელი, 379 გვ.
5. ხალვაში ნ., მესხიძე ა., ბარათაშვილი დ., ლომინაძე შ. ციტრუსოვანთა პლანტაციების რეაბილიტაციის თანამედროვე ტექნოლოგიები. (მეთოდური მითითებები), თბილისი, 2016 წელი 148 გვ.
6. პრობლემებზე დაფუძნებული დაავადებების იდენტიფიკაცია (USAID). თბილისი 2016 წელი.
7. ხეთერელი ა, ბერუაშვილი მ. მრავალწლიანი კულტურების დაავადებების ატლასი. გამომცემლობა UNDP Georgia, 2015 წელი.
8. <http://adjara.gov.ge/>

Condition of Citruc Plants and Rehabilitation Perspectives

Neli Khalvashi-

Academic doctor of agricultural,

Avtandil Meskhidze-

Academic doctor of Biology,

Davit Baratashvili-

Doctor of Biology sciences,

Nino Kedelidze-

Doctoral student

Abstract

(Internet Version)

The article deals with the analysis of the current condition of citrus-growing which used to be one of the most leading fields of agriculture. The research also presents the perspectives for development of citrus-growing as well as highlights the advantages of those technologies and actions that are deemed to be necessary to implement rehabilitation measures for deteriorated citrus plantations.

5. უწყვეტი სწავლების დარბაზი Conctant Studying Hall

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლექცია 18. ფინანსები და კრედიტი

18.1. ფინანსები არსი და მნიშვნელობა

ფინანსები. როგორც მეცნიერება, შეისწავლის სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესს დროის გარკვეულ პერიოდში და ამ პირობებში წარმოშობილ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ფინანსები, როგორც ისტორიული და ეკონომიკური კატეგორია წარმოიშვა სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, როდესაც დაიწყო საზოგადოების კლასებად დაყოფა. საუკუნეების მანძილზე თანდათან გამოიკვეთა ფინანსური ურთიერთობების ფულადი ხასიათი, როგორც მისი დამახასიათებელი თვისება.

ფინანსური ურთიერთობები, როგორც ფულადი ურთიერთობები, იქმნება:

- საწარმოებს შორის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შეძენისა და მზა პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესში;
- საწარმოებს და მათ ზემდგომ ორგანიზაციებს შორის ცენტრალიზებული ფონდების შექმნა-განაწილების პროცესში;
- სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის, ერთის მხრივ-სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების (გადასახადების გადახდა) და მეორეს მხრივ-საწარმოს წინაშე სახელმწიფო ვალდებულებების (ხარჯების დაფინანსება) შესრულების პროცესში;

- საწარმოებს, საოჯახო მეურნეობებსა და არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის რესურსების მიღებისა და გადასახადების გადახდის პროცესში;
 - ცალკეულ საბიუჯეტო დაწესებულებებს შორის;
 - სადაზღვევო ორგანიზაციებსა და საწარმოებსა და მოქალაქებს შორის;
 - სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ანგარიშსწორებისა და ფინანსური რესურსების განაწილების პროცესში.
- საერთოდ. სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი შემოსავლებისა და ფონდების მატერიალური წყაროებია: ეროვნული სიმდიდრე, მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი.
- ფინანსებს სამი საყრდენი გაჩნია: ფულადი სახსრების გამოყენების ოპტიმიზაცია, აქტივების ღირებულება, რისკის მართვა
- ფინანსებს გაჩნია თავისი ფუნქციები, კერძოდ:
1. გამანაწილებლობითი—ამ გზით იქმნება: საბიუჯეტო ფონდები, წარმოების საშვალეების ფონდები, მოხმარების საგნების ფონდები.
 2. მაკონტროლებელი—ვლინდება ერთობლივი ეროვნული შემოსავლის და სხვა წყაროების შესაბამის ფონდებში მოქცევისა და მისი მიზნობრივი ხარჯვის კონტროლში.
- ამ ფუნქციებთან ერთად, როგორც მეცნიერები მიჩნევენ, ფინანსებს გაჩნია საწარმოო, მასტიმულირებელი, მარეგულირებელი და სხვა ფუნქციებიც.

18.2. საფინანსო სისტემა და მმქანიში

საზოგადოების ან მისი წევრების მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებები ხორციელდება საფინანსო სისტემის მეშვეობით.

საფინანსო სისტემა მოიცავს:

- აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრებს;
- საფინანსო შუამავლებს (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები);
- საფინანსო მომსახურების ფირმებს და ყველა ამ დაწესებულების მარეგულირებელ ორგანოებს.

საფინანსო სისტემის მთავარი ფუნქციაა ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილება.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემა იყოფა სამ ძირითად სფეროდ:

1. სახელმწიფო ფინანსები:

2. სამეურნეო სუბიექტების ფინანსები;
3. საოჯახო მეურნეობის ფინანსები;

საქართველოს საფინანსო სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

1. სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა;
2. სპეციალური ბიუჯეტგარეშე ფონდები;
3. სახელმწიფო კრედიტი;
4. ქონებრივი და პირადი დაზღვევის ფონდები;
5. საკუთრების სხვადასხვა ფორმების საწარმოთა ფინანსები.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს: საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს.

საფინანსო სისტემის ფუნქციების რეალიზაციის შედეგად ფორმირდება სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანაა, ის რომ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამები.

ქვეყნის ფინანსური პოლიტიკა ხორციელდება ფინანსური მექანიზმით, რომელიც იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რისი მეშვეობითაც უზრუნველყოფილია: განაწილებითი და გადანაწილებითი ურთიერთობანი: შემოსავლებისა და დაგროვების შექნა: ფულადი საშვალეების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების შექმნა-გამოყენება.

უდავოა, რომ ფინანსებს სჭირდება მართვა. იგი მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო საფინანსო პოლიტიკის გატარებას, ფინანსების დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კოორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას.

ფინანსური მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი ნაწილია ფინანსური დაგეგმვა.

ფინანსური დაგეგმვის მეშვეობით სახელმწიფო განსაზღვრავს: ფინანსური რესურსების წყაროებს, მათ მოცულობასა და მიზნობრივ გამოყენებას: უზრუნველყოფს ოპტიმალური ღირებულებითი პროპორციების დაწესებასა და განაწილებას ეკონომიკის პროგნოზირების შესაბამისად, ცალკეული დარგის, რეგიონის, ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფონდებს შორის: ასტიმულირებს საწარმოო ფონდების მატერიალური და ფულადი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

18.3. ფასები და ფასების პოლიტიკა (რა გავლენას ახდენს ფასი ბიზნესზე)

ფასი არსებობის რამდენიმე ათას წელს ითვლის, რაც სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობებმა წარმოშვა. ფასი როგორც ეკონომიკური კატეგორია, ფულით გამოხატული საქონლის (მომსახურების) ღირებულებაა.

ფასს აქვს თავისი ფუნქციები. გამოყოფთ მის ექვს ძირითად ფუნქციას:

1. საღრცხვო-ღირებულობითს (ასახოს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისთვის აუცილებელი დანახარჯები):
2. სტიმულირებითს (ყიდვა-გაყიდვის პროცესში თითოეულ მონაწილეს თავისი მატერიალური სტიმული გააჩნია):
3. გადანაწილებითს (ამით ვლინდება ფასის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტის როლი როდესაც ფასი გადაიხრება აუცილებელი დანახარჯებიდან, ღირებულებიდან გადანაწილებითი ფუნქციის შედეგად ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება დარგებსა და სფეროებს, დაგროვებასა და მოხმარებას შორის და ა.შ.):
4. მოთხოვნილებისა და მიწოდების თანაფარდობის გათვალისწინების (სახალხო მეურნეობაში პროპორციულობისა და წონასწორობის შემთხვევაში წონასწორობა ბაზარზე ხორციელდება ფასების მეშვეობით):
5. სასაქონლო-ფულადი პროცესების თვითრეგულირების:
6. საგარეო ეკონომიკური.

ბიზნესის სისტემაში ფასების მიზანმიმართული პოლიტიკა ნიშნავს იმას, რომ: საქონელზე უნდა დაწესდეს ისეთი ფასები და ისინი ისე უნდა რეგულირდებოდეს სიტუაციების მიხედვით, რომ საშუალება მოგეცეთ დაიპყროთ ბაზარი, მიიღოთ სასურველი მოგება და უპასუხოთ ხანგრძლივ კონკურენციას.

ფასის დადგენაზე მრავალი შიდა და გარე ფაქტორი ახდენს გავლენას. მიახლოებით ორიენტირებად ითვლება მარკეტინგული მიზნები და დანახარჯები. ამასთან, უნდა შეფასდეს სახელმწიფო რეგულირების ხარისხი, მოთხოვნილების დონე, კონკურენციის ხასიათი, ბითუმად და საცალოდ მოვაჭრეთა მოთხოვნილება.

გამოკვლევათა მიხედვით, 60-იან წლებში ბიზნესმენები ფასების როლს აყენებდნენ მეექვსე ადგილზე 12 ფაქტორს შორის – საქმიანობის დაგეგმვის (პროგრამის), მარკეტინგული გამოკვლევის, მენეჯმენტის, რეკლამის, რელიზაციის სტიმულირებისა და მომხმ-

რებელთა მომსახურების შემდეგ. შემდგომმა პერიოდმა დადასტურა, რომ ფასწარმოქმნა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე მიჩნეულნი.

ფასური კონკურენციით გამყიდველები გავლენას ახდენენ მოთხოვნილებებზე, რაც ძირითადად ფასების ცვლილების გზით ხდება. რაფასური კონკურენცია კი ფასის, როგორც მომხმარებლური მოთხოვნილების ფაქტორის მინიმალზაციას ახდენს.

ფასის გაზრდა იმისთვის, რომ „ჩვენ გვინდა“, უარყოფითად მოქმედებს ფირმის რეპუტაციაზე.

სწორმა ფასწარმოქმნამ (დადგენამ) უნდა უზრუნველყოს:

1. საქონლის წარმატებით გაშვება ბაზარზე;
2. პოზიციების დაცვა-განმტკიცება;
3. ბაზრის სეგმენტებზე თანმიმდევრული გასვლა;
4. დანახარჯების სწრაფი უკუგება;
5. კომპლექსურ გაყიდვათა სტიმულირება.

ფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან ძირითადია:

1. **მომხმარებლები** – მოთხოვნილების კანონი ხაზს უსვამს, რომ მომხმარებელი, როგორც

წესი, ბევრ საქონელს იძენს მხოლოდ დაბალ ფასებში. ასევე ელასტიურობით ისაზღვრება მყიდველის მგრძობელობა ფასის ცვლილებაზე, მათ მიერ შეძენილი საქონლის მოცულობის თვალსაზრისით.

ფასების ელასტიურობა გამოიხატება შემდეგი შეფარდებით:

$$\text{მოთხოვნა 1} - \text{მოთხოვნა 2}$$

$$\text{მოთხოვნა 1} + \text{მოთხოვნა 2}$$

$$\text{ფასი 1} - \text{ფასი 2}$$

$$\text{ფასი 1} + \text{ფასი 2}$$

მოთხოვნილება იზრდება მაშინ, როდესაც ფასების ელასტიურობა ერთზე მეტია.

2. **მთავრობა** – ფასწარმოქმნის თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილებებს დიდი გავლენის

მოხდენა შეუძლიათ საბაზრო სიტუაციაზე. ეს გავლენა შეიძლება ორ ფაქტორად ჩამოყალიბდეს:

- ფასების კორიზონტალური ფაქსირება-ხდება მაშინ, როდესაც მწარმოებლები,

საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროები თანხმდებიან გარკვეულ ფასზე: ამ დროს სახელმწიფო ზღუდავს ფასის შესაძლო ფიქსაციას:

➤ ფასების ვერტიკალური ფიქსირება–ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მწარმოებლებს ან ბითუმად მოვაჭრეებს შეუძლიათ გაკონტროლონ თავისი საქონლის საცალო ფასები. ეს დასაშვებია მხოლოდ ზოგიერთი გამონაკლისის დროს, მაგ.. თუ მწარმოებელს ან ბითუმად მოვაჭრეს აქვს თავისი საცალო ვაჭრობის მაღაზია: თუ საქონელი იყიდება კონსიგნაციის პირობებში (როდესაც საქონელი გაყიდვამდე ეკუთვნოდა თვით მწარმოებელს ან ბითუმად მოვაჭრეს). როგორც წესი, მთავრობა აკონტროლებს ფასებს კომუნალურ მომსახურებაზე, ტრანსპორტზე და სხვა.

3. გასაღების არხების მონაწილენი.

თითოეული მონაწილე ცდილობს მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ფასების დადგენაში.

მწარმოებელს შეუძლია კონტროლი გაუწიოს ფასს, თუ:

- გამოიყენებს მონოპოლური საქონელმოდრაობის სისტემას ანდა მინიმუმამდე დაიყვანს საქონლის საცალო ვაჭრობას, როდესაც იგი დაკლებული ფასებით იყიდება:
- წინასწარ დაადგენს საქონლის ფასს;
- გახსნის საკუთარი საცალო ვაჭრობის მაღაზიებს;
- საქონელს მიაწოდებს კონსიგნაციის პირობებში;
- უზრუნველყოფს გასაღების არხის მონაწილეთა საკმარის მოგებას;
- კარგად შეიმუშავეს სავაჭრო მარკებს.

3. **კონკურენცია და დანახარჯები**–გარემო, სადაც ფასი კონტროლდება, ხასიათდება კონკურენციის მაღალი ხარისხით. ზედმეტმა კონკურენციამ ფასებში შეიძლება მიგვიყვანოს ხანგრძლივ და ძვირადღირებულ ფასურ ბრძოლაზე, რომლის დროსაც ფირმები გამუდმებით ცდილობენ დაწესონ კონკურენტებზე დაბალი ფასები. მას ბევრი უარყოფითი შედეგები მოსდევს. მის გამო ზოგი ფირმა საერთოდ წყვეტს საქმიანობას.

ფასების სწრაფი ზრდის პირობებში კომპანიები სხვადასხვანაირად იქცევიან:

1. არ ცვლიან პროდუქციას და ხარჯების მთელ ზრდას მომხმარებელს უმიზნებენ;
2. ახდენენ პროდუქციის მოდიფიცირებას ისე, რომ შეამცირონ ხარჯები და შეინარჩუნონ ფასების დონე;
3. წყვეტენ არამომგებიანი პროდუქციის გამოშვებას.

ზოგ შემთხვევაში რამდენიმე წელი შეიძლება დასჭირდეს ფირმას, რათა დააწესოს კონტროლი დანახარჯებისა და ფასების ზრდაზე და მიაღწიოს მათ რეგულირებას.

ფასების პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების სწორი სტრატეგიის შემუშავებას. იგი უნდა ეყრდნობოდეს დანახარჯებს, მოთხოვნილებებსა და კონკურენციას.

ფასების სტრატეგია ზემოთაღნიშნული პოზიციების გარდა მოიცავს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ გადაწყვეტას, კერძოდ;

1. სტანდარტული ფასების დადგენა;
2. ცვალებადი ფასების დადგენა (რეაგირება რომ მოახდინონ მოთხოვნილებებზე და დანახარჯებზე);
3. სტანდარტული და ცვალებადი ფასების შეთანაწყობა;
4. ერთიანი და მყარი ფასების დადგენა, ერთიანი ყველა მომხმარებლისთვის. იგი შეიძლება იცვლებოდეს შეძენილი საქონლის რაოდენობის შესაბამისად, ყიდვის დროის მიხედვით, სერვისის შესაბამისად.
5. დაუმრგვალებელი ფასების დადგენა. ისინი პოპულარულია იმის გამო, რომ მომხმარებლებს უყვართ ხურდის მიღება; იმის გამო, რომ მოლარეები ვალდებულნი არიან გასცენ ხურდა. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ნაკეთობის საჭირო ფიქსაციას და ფასის სალაროში მოქცევას; მომხმარებელში ჩნდება გრძნობა, რომ ფასი დაკლებულია. ისეთი ფასებია მაგ.. 49 ცენტრი, 2,98 დოლარი, 199 დოლარი და ა.შ.
6. ფასების დამოკიდებულება საქონლის ხარისხზე. მომხმარებელი ხშირად გულისხმობს, რომ მაღალი ფასი მაღალი ხარისხის საქონელს აქვს, დაბალი კი – დაბალი ხარისხისას. ამ კონცეფციას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესურ საქმიანობაში.
7. ფასური ლიდერობა. ეს გამოიყენება საერთო ეროვნული სავაჭრო მარკებისათვის, ყოველდღიური მოხმარების სავაჭრობისთვის. არსებობს ფასური ლიდერობის ორი სახე; თვითღირებულებაზე დაბალი ფასებით გაყიდვა და მასზე მაღალი, მაგრამ ჩვეულებრივზე დაბალი ფასებით გაყიდვა;
8. მასობრივი ყიდვის საქონელზე ფასების დადგენა. გამოიყოფა ოთხი ძირითადი მიზეზი;
 - მომხმარებლები ზრდიან შესყიდვის მოცულობას თუ ჩათვლიან, რომ ამით მომგებიან პირობებს იქმნიან;
 - მათ შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი საერთო მოთხოვნილება თუ ბევრს გაყიდონ;

- მყიდველები შეიძლება მოიზიდოს ფასდაკლებამ;
- ფირმას შეუძლია უარი თქვას მოძველებულ და ისეთ პროდუქციაზე, რომელიც ძალზე ნელა სალდება.

9. ფასის ხაზების დადგენა. ეს უკავშირდება საქონლის ფასების დიაპაზონში გაყიდვას, სადაც თითოეული ფასი ასახავს ხარისხის გარკვეულ დონეს. ამ შემთხვევაში მარკეტოლოგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ; ფასები საკმაოდ უნდა იყოს დაცილებული ერთმანეთთან; ფასები უფრო მეტად უნდა იყოს დაცილებული მაღალ დიაპაზონში; ფასების შეფარდება უნდა რეგულირდებოდეს დანახარჯების ზრდის გათვალისწინებით

ამასთან, ყოველივე ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მომხმარებელმა არ მიიჩნიოს, რომ დიაპაზონი დიდი და შეუსაბამოა.

სწორად გათვლილი და დარეგულირებული ფასები იზიდავს მომხმარებელს, ავტორიტეტს უხვეჭს ფირმას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ მოგებას.

როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯერ ერთ-არსებობს ფასების თვითრეგულირების სისტემა—მაკროეკონომიკური პოზიციებიდან არ არის გამათლებული ფასების გადიდება, მწარმოებელი დაინტერესებულია მისი დონის ოპტიმიზაციაში, იმისათვის რომ ბაზარზე ჰქონდეს მტკიცე პოზიციები. ეს სისტემა ძალზე რთულია. იგი ეყრდნობა არა მარტო შიდა ინფორმაციას, არამედ მოიცავს გარე ინფორმაციის დიდ მასასაც, რომელიც მოდის ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებიდან.

მეორეც-სახელმწიფო ახდენს მარეგულირებელ გავლენას ამ რთულ უბანზე.

სახელმწიფო გავლენას ახდენს შიდაფასწარმოქმნაზე ორი მიმართულებით: ფასების პირდაპირი რეგულირებით და ფასებზე კონტროლის გზით მაგ.;

აშშ-ში სახელმწიფო ფასებს არეგულირებს 5-დან 10%-მდე. ხორბალზე, სიმინდზე, ბრინჯზე, არისხზე, ბამბაზე, თამბაქოზე ფასების დონე დაცულია ფერმერებიდან შესყიდვისა და საგირაო ოპერაციების მეშვეობით, ხოლო ფასები რძის პროდუქტებზე – ამ პროდუქტთა ნამეტის შესყიდვის გზით.

სახელმწიფო გარანტიას იძლევა საგირაო ფასის მინიმალურ დონეზე; ამასთან, იცავს შეთანაწყობას ფერმერებიდან შესასყიდი პროდუქციის ფასსა და მათ მიერ შესყიდული საქონლის ფასს. ამ ფუნქციას ასრულებს სოფლის მეორეობის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტრო და ფედერალური სავაჭრო კომისია ახორციელებენ ფასებზე კონტროლს.

იაპონიაში–შექმნილია საგანგებო სახელმწიფო ორგანო – ეკონომიკური დაგეგმვის, მართვისა და ფასების ბიურო. მის ფუნქციებში შედის მოთხოვნების აუცილებელ დონეზე შენარჩუნება. სათანადო ფინანსური პოლიტიკის საშუალებით;

სახელმწიფო არეგულირებს ფასებს; ბრინჯზე, ხორბალზე (ადგენს პარლამენტი), ხორცზე, რძის პროდუქტებზე (ადგენს მიწათმოქმედების მინისტრი), სარკინიგზო ტარიფებს, წყალმომარაგების, სათბობმომარაგების, ელექტროენერჯის და გაზით მომარაგების ტარიფებს, განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე, საერთოდ, რეგულირება სამომხმარებლო ფასების 20%.

საფრანგეთში–ფასების სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიუჯეტის სამინისტროს კონკურენციის დეპარტამენტი. პირდაპირი რეგულირება ხდება სამსამ პროდუქტების, გაზის, ელექტროენერჯის, სატრანსპორტო მომსახურების ფასებზე. ქვეყნის ქალაქებში არის 3000-ზე მეტი კონტროლიორი, რომლებიც ცონტროლს უწევენ საქონლის გაფორმებას და მათ ხარისხს ფასის შესაბამისად.

ავსტრიაში–იმ პროდუქტებზე და მომსახურებაზე, რომელზეც სახელმწიფო მონოპოლიაა დაწესებული, ფასები დგინდება პარლამენტის გადაწყვეტილებით (თამბაქო, მარილი, სატელეფონო, სატელეგრაფო, სარკინიგზო ტარიფები) და ფინანსთა სამინისტროს მიერ (სპირტიანი სასმელები). ფასების მექანიკური მომატებისათვის სანქციები შეიძლება 100 ათას შილინგს აღემატებოდეს.

შვეიცარიაში–შექმნილია ფასების კონტროლის ფედერალური უწყება. ანონის ფარგლებში რეგულირდება სასაქონლო პროდუქციის 50%-ის ფასები. ფასები რეგულირდება მარცვალზე, შაქრის ჭარხალზე, კარტოფილზე, ხორცზე.

ფასების კონტროლს ახორციელებს არამარტო სახელმწიფო ორგანოები, არამედ საზოგადოებრივიც, მაგ. მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ფონდი.

ესპანეთში–ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროსთან არსებობს ფასების საბჭო, რომელიც არეგულირებს ფასებს, სააბოლოო გადაწყვეტილებას ფასების მომატებაზე იღებს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კომისია. უშუალოდ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასები, სამომხმარებლო ფასების საერთო სტრუქტურაში შეადგენს 10%-ს.

სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი ყოველთვიურად აქვეყნებს სამომხმარებლო ფასების ინდექსს, რომელსაც ანგარიშობს „შესყიდული კალათის“ საფუძველზე.

შვეციაში-სპეციალურადაა შექმნილი ფასებისა და კონკურენციის ეროვნული საბჭო, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს სისტემური ინფორმაციის არსებობას ფასებზე, ფასების ინდექსის ანალიზსა და პროგნოზირებაზე იმ ღონიზიებითაა შემუშავებას, რომელიც მკვეთრად არ გაზრდის ფასებს.

მიღებულია ფასების კლასიფიკაცია ეკონომიკური ხასიათის, ტერიტორიული ნიშნის, მოქმედების ვადისა და დაწესების ხასიათის მიხედვით;

1. ეკონომიკური ხასიათის მიხედვით არჩევენ: წარმოების, საბითუმოს, შესასყიდ და საცალოს, სატარიფო გადაზიდვების, კავშირგაბმულობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მომსახურების, საგარეო ვაჭრობის ფასებს;

2. ტერიტორიული ნიშნის მიხედვით არჩევენ: ერთიან (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე), ზონალურს და ადგილობრივს;

3. მოქმედების ვადის მიხედვით გამოყოფენ: მოქმედების ვადის შეზღუდვის გარეშე, დროებითს, საფეხურიანს (მცირდება წინასწარ განსაზღვრული ნორმით), სეზონურს (დიფერენცი-რებულია წლის პერიოდების მიხედვით);

4. დაწესების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ: საპრეისკურანტოს (მტკიცდება სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების მიერ); ერთჯერადი შეკვეთების (ამტკიცებენ სამინისტროები, დეპარტამენტები, საწარმოები), სახელშეკრულებოს, საკომისიოს, თავისუფალი ბაზრის ფასებს.

არსებობს მსოფლიო ფასიც-ეს არის საქონლის ობიექტურად განსაზღვრული ღირებულება, რომელიც ხასიათდება შემდეგ ნიშნებით;

1. ეს ის ფასია, რომლითაც ხორციელდება მსხვილი საექსპორტო და საიმპორტო საქმეები იმ პირობებში, რომელიც მისაღებია სასაქონლო ბაზრების უმეტესობისთვის;

2. ეს ის ფასია, რომელიც გამოიყენება მნიშვნელოვან ბაზრებზე საქონლის რეგულირებული გარიგებების დროს;

3. ეს საქონლის ფასია ისეთი გარიგებების დროს, როდესაც გადასახადი ნაზღაურდება კონვერტირებული ვალუტით.

ფასის სხვადასხვა სახე გამოყენებული უნდა იქნას მისი შესაძლო მოქმედების სპეციფიკის, ბაზრის სიტუაციის, მომხმარებელთა მოტივაციისა და თვით ფირმის სტრატეგიის შესაბამისად და გათვალისწინებით.

ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასების გამაწონასწორებელი ფუნქციის რეალიზებას. ეს ნიშნავს მოწოდებისა და

მოთხოვნების კონკურენციული არხების მიერ ფასის იმ დონეზე დაწესებას, როდესაც ყიდვისა და გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებები სინქრონიზდება და თანხვედრი ხდება.

ინტელექტუალური საუბრები Intellectual Conversations

უძველესი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

6.1. საუბრები ხელოვნებაზე¹

6.1.1. ხელოვნების არსი

დიდი ხნის განმავლობაში, კერძოდ XX საუკუნის შუა-ხანებამდე, ხელოვნების ერთადერთ სწორ განსაზღვრებად ითვლებოდა ბ. ბელინსკის მიერ წამოყენებული ფორმულირება: ხელოვნება არის სინამდვილის გრძობად-კონკრეტული გამოხატულება, ანუ აზროვნება სახეებში.

საკითხი ამ გაგების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ დააყენა ა. ბუროვმა. მისი კონცეფციის ძირითადი აზრი ასეთია: 1. ხელოვნების არსების გასაღები, უწინარეს ყოვლისა, მის საგანში უნდა ვეძიოთ; 2. ხელოვნების საგანი უნდა განისაზღვროს როგორც შემეცნების საგანი; 3. ხელოვნების შემეცნების სპეციალურ საგანს წარმოადგენს ადამიანი, უფრო ზუსტად საზოგადოებისა და პირადის ცოცხალ ერთიანობაში, იმ ერთიანობაში, რომელიც დამახასიათებელია მისთვის ობიექტური ადამიანური პირების მიხედვით.

თუ ხელოვნებას ადამიანის შემეცნებად მივიჩნევთ, მაშინ სულ ცოტა, სამ კითხვას მაინც უნდა გაეცეს პასუხი:

1. რა განსხვავებაა ხელოვნებასა და მეცნიერების მთელ რიგ

¹ გამოყენებულია ა. ჩხარტიშვილის - „საუბრები ესთეტიკაზე“ (თბილისი, 1989წ.) და სხვა ჩანაწერები.

დარგებს (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანტროპოლოგია და სხვ.) შორის, რომელთა შესწავლის ობიექტს სწორედ ადამიანი წარმოადგენს;

2. რა ვუყოთ ხელოვნების ისეთ დარგებსა და ჟანრებს, რომლებშიაც ადამიანი საერთოდ არ ფიგურირებს (არქიტექტურა, ორნამენტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, ანიმალისტური სურათი და სხვ.);

3. როგორ (და რატომ) იქცევა ადამიანის შემეცნება ესთეტიკურ ფენომენად, როცა თეორიული შემეცნება საერთოდ არის გნოსეოლოგიური ფენომენი.

რა არ გააკეთეს ბუროვმა და მისმა მომხრეებმა, რომ პასუხი გაეცათ ამ კითხვებზე, მაგრამ ამაოდ. ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა, ქანდაკება კიდევ ჰო, მაგრამ როგორ შეიძლება არქიტექტურაზე, როგორც ადამიანის შემეცნებაზე სერიოზული ლაპარაკი.

ბუროვის დებულება: „ხელოვნება არის ჭეშმარიტების წვდომა“ რომ მცდარია, ჩანს იქიდან, რომ მისი გამართლება საკუთრივ ხელოვნების უკვდავყოფა იქნებოდა. აღნიშნულ მტკიცებას, თავისთავად, ხელოვნების არსის გაგებისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე ვთქვათ, იმაზე მითითებას, რომ „ხელოვნება არის სპილო“.

და აი, ნაცვლად აღრინდელისა „ხელოვნება–შემეცნება“ ჩნდება პრინციპი - „ხელოვნება – ასახვა“.

ხელოვნების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს უთუოდ ასახვითობა წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ითქვა ასახვის ნიშანი მარტო ხელოვნებას არ მიუდგება. ასახვაა მეცნიერებაც, პოლიტიკაც, რელიგიაც და ა.შ.

შედარებით უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ე.წ. „ესთეტიკური თვისებისა“ და „ესთეტიკური დამოკიდებულების“ კონცეფციები. ამის თანახმად, ხელოვნების ასახვის სპეციფიკურ საგანს წარმოადგენს:

1. სინამდვილის ესთეტიკური თვისებები ან სინამდვილე მის ესთეტიკურ თავისებურებებში;
2. სინამდვილესთან ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულება. ხელოვნების რთულ სისტემაში ესთეტიკურის შემოტანა უდავოდ საინტერესო და მისასალმებელია, მაგრამ მის განსაკუთრებულ ნიშნად გამოცხადება არ შეიძლება, რადგან:

1. ხელოვნება ასახავს სინამდვილის არა მარტო ესთეტიკურ

თვისებას, არამედ საერთოდ სინამდვილეს მთელ თავის მრავალფეროვნებაში (მაგ. პიკასოს გასიმბოლოებული, უწყინარი მტრედიც და ნანგრევებად ქცეული ჰერნიკაც და სხვ.);

2. ესთეტიკურ მოვლენებს ასახავს არა მარტო ხელოვნება, არამედ მეცნიერებაც (ვარდი, არა მარტო ხელოვნების, არამედ მეცნიერების ასახვის საგანია და სხვ.);

გარდა „შემეცნება“ - „ასახვისა“, ხელოვნება შეიძლება განხილულ იქნას, აგრეთვე: „საზოგადოებრივი ცნობიერების“, „იდეოლოგიის“, „ესთეტიკური მოღვაწეობის“, „სემანტიკის“, „კომუნიკაციის“, „ჰელონიზმის“ და სხვა განაპტერში (კუთხით).

ცნობილი რუსი ლექსიკოგრაფის ვ. დალის „ლექსიკონში“ ტერმინ „ხელოვნებასთან“ დაკავშირებით ნათქვამია: „ხელოვნება აგრეთვე უპირისპირდება ბუნებას და მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანის ხელითაა ნაკეთები“.

მაგრამ „ხელით ნაკეთობა“ ყოველთვის როდი იძლევა ხელოვნებაზე უმეცლოდ ორიენტაციის გარანტიას. ხელით ნაკეთობის ნიშანი მიეწერება მაგ. მწველავის, მეშახტის, ქირურგის და სხვა „ნახელავსაც“, მაგრამ ვის მოუვა აზრად, რომ ხელოვნების ნაწარმოები უწოდოს.

ყველა აღნიშნული ნიშნის ერთად თავმოყრა და ხელოვნების ცნების ჩამოყალიბება რომ შეიძლებოდეს, იგი ასეთ სახეს მიიღებდა: „ხელოვნება არის ადამიანის მიერ შექმნილი ახალი რეალობა, რომელსაც მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმა და შინაარსი გააჩნია და რომელიც გამოირჩევა შესრულების მაღალი ოსტატობით“.

6.1.2. ხელოვნების კლასიფიკაცია

ისე, როგორც ყოველი მოვლენის, ხელოვნების დაჯგუფებაც (გვარებად დაყოფა) მრავალი ნიშნის მიხედვით არის შესაძლებელი.

იგი მაგ. შეიძლება დაიყოს: ონტოლოგიური ნიშნის მიხედვით (ამისდა შესაბამისად არსებობს: დროითი, სივრცითი და დროით-სივრცითი ხელოვნება); გნოსეოლოგიური ბუნების მიხედვით (სახვითი და არასახვითი ხელოვნება);

ჰერსეფცეული შესაძლებლობების მიხედვით (ოპტიკური, აკუსტიკური, ოპტიკურ-აკუსტიკური);

მდგომარეობა-მოქმედების ნიშნის მიხედვით (სტატიკური და დინამიკური);

მატერიალურ-მხატვრული საშუალებების მიხედვით (სიტყვის, ბგერების, საღებავების, მოძრაობის, სინათლის, მასის და ა.შ.);

არსებობის წესის მიხედვით (განსაზღვრული და განუსაზღვრელი);

არსებობის ხასიათის მიხედვით (პირველადი და საშემსრულებლო);

სტრუქტურის მიხედვით (მარტივი და სინთეზური);

ფუნქციების ნიშნის მიხედვით (გამოყენებითი, გამოყენებით-კაზმული და კაზმული).

მიჩნეულია, რომ ყველა ჩამოთვლილ ნიშანს შორის მთავარი ფუნქციის ნიშანია, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ხელოვნების არსების გასაღები.

აშკარად ჩანს, რომ გამოყენებით ხელოვნებაში უტილისტური ფუნქცია დომინირებს; გამოყენებით-კაზმულში უტილისტური და ესთეტიკური ფუნქციები თანაბარი მნიშვნელობისაა; კაზმულში-ესთეტიკური მძლავრობს.

6.1.3. ხელოვნების სახეები

6.1.3.1. გამოყენებითი ხელოვნება

მისი კლასიფიკაცია მრავალი ნიშნის მიხედვით შეიძლება. მთავარი მაინც ორია – **მასალა** და **ფუნქცია**.

მასალის მიხედვით გამოყენებითი ხელოვნება იყოფა შემდეგ სახეებად: მხატვრული ქსოვილი; მხატვრული ხე; მხატვრული კერამიკა; მხატვრული მინა; მხატვრული ლითონი.

ფუნქციების ნიშნის მიხედვით იგი ასე იყოფა: ავეჯი; ჭურჭელი; ყოფითი დიზაინი (ტელევიზორები, მაცივრები და ა.შ.); მხატვრული არმატურა (ჭაღები, ელექტროგანათების სხვა საშუალებები); მოდა-კოსმეტიკა (ტანსაცმელი და მორთვის საშუალებები, ფარდები, კარნიზები, დეკორაციები).

6.1.3.2. არქიტექტურა

არქიტექტურას განმარტავენ, როგორც სადამშენებლო ხელოვნებას.

შენობას, როგორც არქიტექტურულ მოვლენას, განსხვავებით, ვთქვათ, დაზგური ხელოვნებისაგან დამოუკიდებელი არსებობა როდი გააჩნია. იგი უსათუოდ სხვა შენობებთან, ბუნებასთან, ადამიანთან და სხვა მოვლენებთან მიმართებაში არსებობს, ამიტომ გამომსატველობის აუცილებელ პირობას, არქიტექტურაში მოცულობით-სივრცითი

სტრუქტურა და, აქედან გამომდინარე, პროპორციულობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს სხვა მოცულობებთან თანაფარდობასაც.

არქიტექტურაში გამოიყენება კონტრასტული შეპირისპირების ხერხი (მაღალი და სიბრტყითი შენობები, ვერტიკალურ-ჰორიზონტალური დანაწევრება).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასშტაბურობას (მონუმენტურობას).

განსაკუთრებულ მხატვრულ ჟღერადობასა და იდეურ-ესთეტიკურ გამომხატველობას არქიტექტურა მინც ხელოვნების სხვა დარგებთან—ქანდაკებასთან, ფერწერასთან, გამოყენებით ხელოვნებასთან და ა.შ. სინთეზით აღწევს (წმ. პეტრეს ტაძარი რომში, ერმიტაჟის შენობა პეტერბურგში, სვეტიცხოველი და სხვ.).

საკაცობრიო ხუროთმოძღვრული ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს შეადგენს: ძველი ეგვიპტის, ანტიკური საბერძნეთის, ძველი რომის, შუა საუკუნეების რენესანსის, შუა საუკუნეების საქართველოს, კლასიციზმის, XIX და XX საუკუნის არქიტექტურა.

ნაგებობათა ტიპების მიხედვით განასხვავებენ არქიტექტურის სამ ძირითად სახეს (ჟანრს): საბინაო, საზოგადოებრივ-სამოქალაქო, სამრეწველო არქიტექტურა.

აღნიშნული ჟანრების გეგმაზომიერი განვითარებისა და ამის საფუძველზე, ერთიანი არქიტექტურული სისტემის შექმნის ამოცანებს ემსახურება ქალაქთმშენებლობა.

6.1.3.3. ქანდაკება

ქანდაკებაში, როგორც სახვითი ხელოვნების დარგში, სინამდვილე აისახება მოცულობით-სივრცითი ფორმებისა და პლასტიკურ-მხატვრული სახეების მეშვეობით.

გამონათვის ფორმის მიხედვით განასხვავებენ: მრგვალ ქანდაკებასა და რელიეფს.

მრგვალ ქანდაკებას მიეკუთვნება: მონუმენტი, ბიუსტი და ფიგურული ჯგუფი. რელიეფს მიეკუთვნება: ბარელიეფი (დაბალი რელიეფი—ამოზნეჭილია სიბრტყეზე) და გორელიეფი (მაღალი რელიეფი—ფიგურები ოდნავ ეხებიან ფონს და ქმნიან დამოუკიდებელი სკულპტურული ჯგუფის შთაბეჭდილებას).

ფუნქციობის ნიშნის მიხედვით არსებობს აგრეთვე: მონუმენტურ-დეკორატიული (ე. ამაშუკელის „ქართველის დედა“) და დაზგური ქანდაკება; დეკორატიულ-გამოყენებითი (მორთვა-მოკაზმა).

6.1.3.4. ფერწერა

ფერწერა ფერის ხელოვნებაა. ერთმა მხატვარმა ფერწერას უწოდა „ცოცხალი წერილი“ ანუ „წერილი ცოცხალზე“.

ფერწერა გარდა ფერისა, იყენებს აგრეთვე გამომხატველობის ისეთ საშუალებებს, როგორცაა: ხაზი, შუქ-ჩრდილი, ხაზობრივი და საჭაერო პერსპექტივა და ა.შ. გამოიყენება ტილო, ქაღალდი, კედელი.

რეალობად ქცეული ანუ ნაწარმოებში ხორცშესხმულ-განხორციელებული სახვითი საშუალებანი ქმნიან ფერწერის მხატვრულ ენას (ფორმას), რომლის ძირითად კომპონენტებს შეადგენს: კოლორიტი, ნახატი, რიტმი და კომპოზიცია.

„კოლორიტი“ ლათინურია და ნიშნავს საღებავს, ფერს. კოლორიტი ფერწერაში მთლიანად ფერზეა აგებული.

ნახატი. რარიგ დიდიც არ უნდა იყოს კოლორიტის როლი, სულ ერთია, ნახატის გარეშე ის უბრალო „ფერთა გამა“ იქნებოდა. საგანთა ფორმის, მათი მოხაზულობის გადმოცემა კი სურათში შესაძლებელია მხოლოდ ნახატის მეშვეობით.

რიტმი. საგანთა მოქმედება – მდგომარეობის გამოხატვის ხერხია. ეს არის სილუეტებისა და მოცულობების ისეთი შენაცვლება, რომელიც ხაზს უსვამს საგანთა მოძრაობას (დინამიკას) ან უძრაობას (სტატიკას).

კომპოზიცია. კოლორიტის, ნახატისა და რიტმის ორგანული ერთიანობა, რაც თავის მხრივ ქმნის სურათის (ფერწერულ ტილოს) მხატვრულ მთლიანობას.

არსებობს ფერწერის სამი ძირითადი სახე: მონუმენტური, დაზგური და დეკორატიული.

მონუმენტურია: შენობის, ფასადის, კედლების, ჭერის და ა.შ. მოხატულობა;

დაზგური მოიცავს ყველა ნაწარმოებს, რომელთაც მხატვრული თვითმყოფადობა (დამოუკიდებლობა) გააჩნიათ;

დეკორატიული ბუნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ უმთავრესად დაკავშირებულია ყოფით ხელოვნებასთან და ემსახურება საგნის მორთვის ან კონსტრუქციისა და ფუნქციის ხაზგასმის ამოცანებს (ზოგჯერ აქ შეაქვთ თეატრალური დეკორაციაც).

6.1.3.5. გრაფიკა

ეს არის სახვითი ხელოვნების სრულიად დამოუკიდებელი დარგი, რომელშიაც სინამდვილის ასახვის ძირითად საშუალებას

წარმოადგენს ერთ ტონში შესრულებული ნახატი. განსაზღვრულ როლს აქ თამაშობს ხაზი და შუქჩრდილი. მისი მხატვრული ენა საოცრად მარტივი და გასაგებია. ტექნიკურადაც ადვილად შესასრულებელია, ამიტომ შესაძლებლობას იძლევა ოპერატიულად გამოეხმაროს ცხოვრების ყოველდღიურ აქტიურ მოვლენებს.

არსებობს გრაფიკის 4 ძირითადი სახე: დაზგური გრაფიკა, წიგნის გრაფიკა (ილუსტრაცია), პლაკატი და სამრეწველო-გამოყენებითი გრაფიკა.

6.1.3.6. მუსიკა

ხელოვნების მრავალფეროვან დარგებს შორის მუსიკა ყველაზე პოპულარულია და ჭეშმარიტად ხალხური მოვლენაა. არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო (შრომითი მოღვაწეობა, ბრძოლა, ზეიმი, გლოვა, რელიგიური რიტუალი და ა.შ.), რასაც თან არ ახლდეს მუსიკა.

იშვიათად შეიძლება მოიძებნოს ხელოვნების მეორე დარგი, რომელსაც ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწვდომის და მისი აფორიაქების ისეთი უნარი ჰქონდეს, როგორც მუსიკას აქვს.

მუსიკალური ხელოვნების მხატვრული ენის ძირითადი ელემენტებია: მელოდია, ჰარმონია, ტემპი, რიტმი, ტემბრი და ა.შ.

არსებობს მუსიკის ორი ძირითადი სახე: ვოკალური და ინსტრუმენტული.

ვოკალურს უწოდებენ მუსიკის ისეთ დარგს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვიერ მასალასთან (ტექსტთან) და რომლის შინაარსის გადმოცემის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ადამიანის ხმა. რაც შეეხება ინსტრუმენტულს, მასში ძირითად „მატერიალურ მასალას“ ინსტრუმენტის ბგერები წარმოადგენს. თუ ვოკალს მღერიან, ინსტრუმენტს უკრავენ.

ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკა იყოფა სახეობებად (ჟანრებად).

ვოკალური მუსიკის ძირითადი სახეობებია: ოპერა (მუსიკის ენაზე გადატანილი სპექტაკლი – წარმოდგენა); ოპერეტა ანუ მუსიკალური კომედია; ორატორია (საკონცერტო ნაწარმოებია, მას უწოდებენ „ოპერას მოქმედების გარეშე“); კანტატა (საზეიმო ან ლირიკულ-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებია, იგი მცირე ზომის ორატორიაა); სიმღერა (მუსიკის ენაზე გადატანილი ლექსი, ბალადა და ა.შ.). არსებობს ორი სახის სიმღერა: ხალხური და პროფესიული (კომპოზიტორის მიერ შექმნილი). შემსრულებელთა რაოდენობის

მიხედვით განსაზღვრავენ: სოლო სიმღერას და გუნდურს; რომანსი (სოლო შესრულებისათვის განკუთვნილი ნაწარმოებია, რომელსაც თან ახლავს აკომპანიმენტი – უმეტესად ფორტეპიანო. რომანსი მხოლოდ ლირიკულ-სატრფიალოა).

ინსტრუმენტული მუსიკის სახეობებია: სიმფონიური და კამერული.

სიმფონია მოიცავს რამდენიმე ჟანრს, ესენია: საკუთრივ სიმფონია, სიმფონიური პოემა, ინსტრუმენტული კონცერტი, სიმფონიური სურათი, უვერტიურა და სხვ.

კამერული ხასიათდება შემსრულებელთა მცირე რაოდენობით, ნაკლები მასშტაბურობით (ვიწრო შინაარსით). იგი მოიცავს როგორც სოლო პიესებს, ისე ინსტრუმენტულ ანსამბლს: დუეტს, ტრიოს, კვარტეტს, კვინტეტს და ა.შ.

6.1.3.7. კაზმული ლიტერატურა

იყო ცდები კაზმული ლიტერატურა გამოცხადებინათ ხელოვნების მეფედ.

ერთი შეხედვით ლიტერატურის „ფეტიშიზაცია“ გარკვეულ საფუძველს მოკლებული არაა. მართლაც, იყენებს რა ისეთ „მატერიალურ საშუალებას“, როგორც ენაა (სიტყვა), მხატვრული ლიტერატურა გამოირჩევა: აზრისეული სიღრმით (გოეთეს „ფაუსტი“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.), მოვლენათა გამოხატვის მასშტაბურობით, მხატვრული სახის (ტიპის) სრულყოფილებით. სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების მრავალმხრივ ნიუანსში ჩვენების შესაძლებლობით, მხატვრული იდეების გამოკვეთილობით და ა.შ.

კაზმული ლიტერატურის განდიდებას ისიც უწყობს ხელს, რომ: 1. ხელოვნების ბევრი დარგი (თეატრი, კინო, ვოკალური მუსიკა და სხვ.) მთლიანად დამოკიდებულია ლიტერატურულ მასალაზე და მათი განვითარება წარმოუდგენელია მხატვრული ლიტერატურის გარეშე; 2. თითქმის არ არსებობს ხელოვნების არც ერთი დარგი და ჟანრი, რომელიც კაზმული ლიტერატურის პირდაპირ თუ ირიბ გავლენას არ განიცდიდეს (თვით სახვითი ხელოვნებაც, მუსიკაც, ბალეტიც სიუჟეტურ მასალას უმთავრესად ლიტერატურიდან იღებს).

მაგრამ მიუხედავად ამისა, უმაღლეს ხელოვნებად ლიტერატურის გამოცხადება მაინც არ შეიძლება. ხელოვნების ყოველ

დარგს სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საგანი და რაც მთავარია, ფუნქცია (მხატვრული ამოცანა) გააჩნია.

საგან-სამუალებების ასახვისა და ესთეტიკურ-მხატვრული ფუნქციების შესაბამისად არსებობს ლიტერატურის რამდენიმე გვარი (სახე). უწინარეს ყოვლისა, განასხვავებენ **პროზასა** და **პოეზიას**.

პროზა თავის სათქმელს გამოთქვამს ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველების ფორმით, პოეზია ამას აკეთებს ლექსით. ამასთან, არსებითია იმის თქმა, რომ პროზისა და პოეზიის არსებობა პირველ რიგში, სხვადასხვა მხატვრული ამოცანებით არის პირობადებული (მაგ. ნ. ბარათაშვილის „მერანში“ მხატვრული იდეალის სრულყოფილი გამოხატვა მხოლოდ ლექსით შეიძლებოდა, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ კი მხოლოდ პროზით).

იდეურ-მხატვრული შინაარსისა და ფუნქციურობის ნიშნის მიხედვით არსებობს ლიტერატურის სამი ძირითადი ჟანრი: ეპოსი (მაგ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“), ლირიკა (მაგ. ნ. ბარათაშვილის „მერანი“) და დრამა (მაგ. უ. შექსპირის „ჰამლეტი“).

ეპოსი ისეთი ნაწარმოებია, რომელშიც ავტორი იყენებს თხრობის ფორმას და გვევლინება როგორც ობიექტურად არსებული მოვლენების ამსახველ-შემფასებელი;

ლირიკის ჟანრში ავტორი საკუთარ თავს წარმოგვიდგენს მთავარ მოქმედ გმირად და სინამდვილეს გვიხატავს საკუთარი აზრებისა და ფიქრების, გრძნობებისა და განწყობილებების მიხედვით.

დრამაში შინაარსიც და მხატვრული იდეაც გადმოცემულია მოქმედ გმირთა მოქმედება-განცდების მეშვეობით.

ლიტერატურის თითოეული გვარი თავის მხრივ იყოფა სახეებად და ჟანრებად:

ეპოსის ძირითადი სახეებია: ეპოპეა, პოემა, რომანი, ნოველა, მოთხრობა, ამბავი, იგავ-არაკი და მხატვრული ნარკვევი;

ლირიკის ძირითადი სახეებია: ოდა, ელეგია, სატირა (არსებობს ფილოსოფიური, პატრიოტული, სატრფიალო და ა.შ. ლირიკა).

დრამის ძირითადი სახეებია: ტრაგედია, კომედია და საკუთრივ დრამა. დრამის დაყოფა შეიძლება აგრეთვე შემდეგნაირადაც: პიესად, სცენარად, ლიბრეტოდ.

6.1.3.8. თეატრი

ხელოვნების აქამდე განხილული დარგებისაგან განსხვავებით თეატრი სინთეზური (მრავალელემენტური) მოვლენაა.

1. თეატრი ერთდროულად მოიცავს ხელოვნების რამდენიმე დარგს. იყენებს ღრობით და სივრცით, აკუსტიკურ და ოპტიკურ ფორმებს;
2. თეატრი თვითონ ხდება ორმაგი ბუნების მატარებელი;
3. თეატრი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ორგანული ერთიანობა-სინთეზია: ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის, ყოფითი ხელოვნების, არქიტექტურის, მოდის (ტანსაცმელი, გრიმი და სხვ.) და სხვ.

თეატრის რთული ბუნება განსაზღვრავს მის მეორე ძირითად თავისებურებასაც: შემოქმედების კოლექტიურ ხასიათს.

თეატრში დიდ როლს ასრულებენ: რეჟისორი, მსახიობები, მხატვარი, კომპოზიტორი, გამანათლებელიც კი, მაგრამ ყველაზე განსაკუთრებული მდგომარეობა მაინც მსახიობებს უჭირავთ.

ჩამოყალიბდა თეატრის რამდენიმე სახე: დრამატული (სცენური ხელოვნების ძირითადი ფორმა), მუსიკალური (ოპერა, ოპერეტა, ბალეტი), პანტომიმა, თოჯინების თეატრი.

6.1.3.9. კინო

ეს ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგია. კინოს ხშირად ადარებენ თეატრს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. კინოს შემოქმედებით კოლექტივში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ოპერატორი.

კინო მოიცავს ჯერ ერთი არა მარტო ხელოვნებითს, არამედ არახელოვნებითს მოვლენებს (მეცნიერებისა და ტექნიკის), მეორე: წინა პლანზე წამოწევს ან, პირიქით, უკანა პლანზე აყენებს ხელოვნების ზოგიერთ დარგს (მაგ. დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინო, სადაც მსახიობები საერთოდ არ მონაწილეობენ).

კინო აქცენტს აკეთებს ისეთ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, რომელთაც ხშირად არავითარი საერთო არ აქვს თეატრთან, მაგ. კინოს ძირითად მხატვრულ საშუალებებს მიეკუთვნება: მონტაჟი, მოძრავი გადაძვლები კამერა და სინათლე.

კინოს სახეებია: მხატვრული, დოკუმენტურ-ქრონიკალური, მულტიპლიკაციური. მხატვრული კინო თავის მხრივ იყოფა: კინომოთხრობად, კინონოველად, სათავედასავლო, მხატვრულ-ფანტასტიკური, ისტორიული, საგმირო, ფანტასტიკური და სხვ.

6.1.3.10. ქორეოგრაფია

მუსიკის შემდეგ იგი ყველაზე დემოკრატიული (ხალხში გავრცელებული) დარგია.

ცეკვა ხელოვნებაა. იგი, გინდაც მთლად არქიტექტურის დარგთან ერთად ხომ ადამიანური მოღვაწეობის პროდუქტია. ფორმა-შინაარსისეული გარკვეულობის მქონეა და გამოირჩევა შესრულების მაღალი ოსტატობით.

ცეკვას ხელოვნების სხვა დარგებთან, კერძოდ თეატრთან და სინთეზური ხელოვნების სხვა ფორმებთან ანათესავებს: სტრუქტურის სირთულე (ცეკვაც სინთეზურია), არსებობის ფორმა (დროითი-სივრცითი ხელოვნებაა), არსებობის ხასიათი (დინამიკური ხელოვნებაა), შექმნის თავისებურება და ზოგადი ბუნება (საშემსრულებლო-სანახაობითი ხელოვნებაა).

ქორეოგრაფია ორგანულ კავშირშია მუსიკასთან. **მხოლოდ მუსიკასთან შერწყმის საფუძველზე იქცევა ადამიანის სხეულის მოძრაობა ცეკვად. ცეკვა–განსხეულებული და მოძრაობად ქცეული მუსიკაა.**

დიდია კავშირი ცეკვასა და თეატრს შორის. საკმარისია ითქვას, რომ ბალეტი ცეკვის ენაზე ამეტყველებული თეატრია, ან თეატრის ენაზე ამეტყველებული ცეკვაა.

თუ დავაზუსტებთ, მთლიანად თეატრი არა, მაგრამ მისი ერთ-ერთი კომპონენტი–გარდასახვის ხელოვნება–ნამდვილად შეადგენს ცეკვის ორგანულ ნაწილს.

როგორც სახელმძღვანელოებშია აღნიშნული: „ცეკვა არის ხელოვნება, რომელშიაც მხატვრული სახე იქმნება ადამიანის სხეულის მუსიკალურ-ორგანიზებული, პირობითი და გამომხატველი მოძრაობის მეშვეობით“. როგორც ხელოვნებათმცოდნეები მიიჩნევენ: აქ თუ შესწორებას შევიტანთ და „მხატვრული სახის“ ნაცვლად აღნიშნულ ფორმულირებაში „ქორეოგრაფიულ მხატვრულ სახეს“ ჩავსვამთ, აღმოჩნდება ის, რომ ცეკვაში ძირითადი და მთავარი ქორეოგრაფიული მხატვრული სახის შექმნაა.

ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად ცეკვაც იყოფა გვარებად და სახეებად. უწინარეს ყოვლისა, განასხვავებენ ხალხურ და პროფესიულ ცეკვებს.

ესთეტიკა სერიოზულად მხოლოდ პროფესიული ცეკვის კლასიფიკაციის საკითხს განიხილავს. ხასიათისა და ფუნქციის ნიშნის მიხედვით განასხვავებენ ცეკვის 4 სახეობას თუ ჟანრს, ესენია: ყოფითი ცეკვა; სამეფლისო ცეკვა; საესტრადო ცეკვა; ბალეტი.

ბალეტში, როგორც ქორეოგრაფიული ხელოვნების დამოუკიდებელი და უმაღლესი ფორმა, წარმოიშვა აღორძინების ეპოქაში (XV ს. ევროპაში, განსაკ. იტალიაში). პირველი საბალეტო სპექტაკლი გაჩნდა იტალიაში XVIII ს. ბოლოს).

საბალეტო მუსიკის და საბალეტო ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია პ. ჩაიკოვსკის სახელთან.

ბალეტის ქორეოგრაფიული პლასტიკა იყოფა სამ ნაწილად: პანტომიმა, ქმედითი ცეკვა და დივერტისმენტული ცეკვა.

საინტერესოა მოვიყვანოთ ცნობილი პიროვნებების გამონათქვამები ხელოვნებაზე:

მ. გორკი: ხელოვნება პირველ ყოვლისა, უნდა იყოს გასაგები და უბრალო, მისი მნიშვნელობა ძალზე დიდია და საყურადღებოა იმისათვის, რომ მასში ადგილი ჰქონდეს „უცნაურობებს“;

მ. გორკი: ხელოვნებამ უნდა გააკეთილშობილოს ხალხი;

ვ. შალიაპინი: ხელოვნებას შეუძლია აიტანოს დროებითი დაცემა, მაგრამ იგი მარადიულია ისევე, როგორც ცხოვრება.

ა. ფრანკი: ხელოვნებას ორი საშინელება ემუქრება: მხატვარი, რომელიც არ არის ოსტატი და ოსტატი, რომელიც არ არის მხატვარი.

ლ. ტოლსტოი: ხელოვნება ადამიანების ერთობის ერთ-ერთი საშუალებაა.

რ. როლანი: პირველი კანონი ხელოვნებისა: თუ შენ სათქმელი არაფერი არ გაქვს – დადუმდი. თუ შენ გაქვს სათქმელი – სთქვი და არ იცრუო.

უენრნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები)

- I. ზოგადი მიწათმოქმედება-ნიადაგის დამუშავება, ნათესების სტრუქტურა და ნათესების მოვლა, ინტენსიური მიწათმოქმედების სისტემა, თესლ-მცოდნეობა, პროგრამირებული მოსავლის მიღება.
- II. მემცენარეობა (კერძო მიწათმოქმედება)-მარცვლეული კულტურები, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, კარტოფილი, თამბაქო, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, ეთერზეთოვანი კულტურები, საკვები კულტურები და საკვებწარმოების სისტემა, ვაზი, ხეხილოვანი კულტურები, ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურები.
- III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა
- IV. ნიადაგმცოდნეობა და ნიადაგის განოყიერების სისტემა.
- V. მელიორაცია და ირიგაცია.
- VI. მცენარეთა დაცვა და მისი ინტეგრირებული სისტემა.
- VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
- VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.
- IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
- X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
- XI. მეცხოველეობის ინტენსიური სისტემები.
- XII. ვეტერინარულ ღონისძიებათა სისტემა.
- XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
- XIV. **აგრარული ეკონომიკა და ბიზნესი**
დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა; მდგრადი განვითარება; აგრო-ბიზნესი; აგრომარკეტინგი; აგრომენეჯმენტი; ინსტიტუციონალური სისტემა და ეკონომიკური მექანიზმი; თეორია და მეთოდოლოგია; ინტერგრაცია და ოპტიმიზაცია; ფინანსები, კრედიტი, ფასწარმოქმნა; საბანკო ურთიერთობები; საგადასახადო სიტემა; სერვისი და ინფრასტრუქტურა; აგროტურიზმი; აგრარული ბაზარი; სასურსათო უსაფრთხოება; სამეურნეო რისკი; პროგნოზირება და მოდელირება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; საწარმორესურსული პოტენციალი; განათლება და მეცნიერება; მეცნიერტევადობა; ინოვაციური ეკონომიკა; ინვესტიციური გარემო; ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობა; აგრარული სექტორის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიები და უზრუნველყოფა; საქმიანი ურთიერთობების ეთიკეტი; აგრარული ეკონომიკური ფსიქოლოგია; შრომის ფსიქოლოგია; ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
საკონსულტაციო დარბაზი.
სადისკუსიო კლუბი.
უწყვეტი აგრარულ-ეკონომიკური განათლების სალექციო ციკლი.
საინფორმაციო მაცნე.

აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.
საზღვარგარეთელ მეცნიერთა შრომები.
სხვადასხვა.

- XV. ეკონომიკური თეორია.
- XVI. გლობალიზაციის პრობლემები და გლობალიზაციის ტექნოლოგიები.
- XVII. საბაზრო ურთიერთობები.
- XVIII. ეკონომიკური უსაფრთხოება.
- XIX. ეკონომიკური მეთოდოლოგია და მეთოდიკა.
- XX. სოციალური და დემოგრაფიული პრობლემები.
- XXI. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.
- XXII. მსოფლიო ეკონომიკა.
- XXIII. საერთაშორისო ორგანიზაციები და კონვენციები.
- XXIV. ადამიანური რესურსები, მისი ეკონომიკა და მენეჯმენტი.
- XXV. ადამიანური ცოდნის საექსპორტო სისტემები და ხელოვნური ინტელექტი.
- XXVI. მოხმარების რაციონალიზაცია.
- XXVII. მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.
- XXVIII. რეკრეაციული რესურსების გამოყენება.
- XXIX. მეორადი ნედლეულის გამოყენება და უნარჩენო ტექნოლოგიები.
- XXX. ელექტრონული მართვის პრობლემები.

ამას გარდა ფურნალს აქვს საგანგებო განყოფილებები:

- 1. მთავარი რედაქტორის სვეტი.
- 2. სოფლის მეურნეობის დარგის სახელოვანი მეცნიერები.
- 3. გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
- 4. სიტყვა აკადემიკოსს.
- 5. კომპეტენტური აზრი.
- 6. დოქტორანტთა დარბაზი.
- 7. ბაკალავრთა დარბაზი.
- 8. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
- 9. და სხვა.

1. ეკონომიკა და ბიზნესი- Economics and Business	5
ომარ ქეშელაშვილი-სოფლის მეურნეობის განვითარების გამოკვეთილი ტენდენციები როგორც პროგნოზირების ამოსავალი ბაზა...	5
O. Keshelashvili- Distinguished Tendencies in Agriculture - the Basis for Estimated Prognosis	12
2 მძანისაცია და ელექტრიფიკაცია- Mechanization and Electrification	13
ჯემალ კაციტაძე, გიორგი ქუთელია, იოსებ აბულაძე, გონა ბერიძე, რომან მარგალიტაძე-ფერმერული მეურნეობის სარემონტო სახელოსნოს დაგეგმარება სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ტექნიკური მოსახურებისა და რემონტისათვის	13
J.Katsitadze, G. Kutelia,I. Abuladze, G.Beridze, R. Margalitadze- Designing a repair shop for farm maintenance and repair	19
3. -Scientific work of Azerbaijani Resserchers	20
- ()	
a	25
4. მამცანარობა- plant-industry	26
ნელი ხალვაში, ავთანდილ მესხიძე, დავით ბარათაშვილი, ნინო ქედელიძე-ციტრუსოვანთა პლანტაციების მდგომარეობა და რეაბილიტაციის პერსპექტივები	26
N.Khalvashi, A.Meskhidze, D. Baratashvili, N. Kedelidze- Condition of Citruc Plants and Rehabilitation Perspectives	38
5. უწყვეტი სწავლების დარბაზი-Conctant Studying Hall (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	39
ლექცია 18. ფინანსები და კრედიტი	39
18.1. ფინანსები არსი და მნიშვნელობა	39
18.2. საფინანსო სისტემა და მექანიზმი	40
18.3. ფასები და ფასების პოლიტიკა (რა გავლენას ახდენს ფასი ბიზნესზე)	42
6. ინტელექტუალური საუბრები-Intectual Converstions (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	50
5.1. საუბრები ხელოვნებაზე	50
5.1.1. ხელოვნების არსი	50
5.1.2. ხელოვნების კლასიფიკაცია	52

5.1.3.1. გამოყენებითი ხელოვნება	53
5.1.3.2. არქიტექტურა	53
5.1.3.3. ქანდაკება	54
5.1.3.4. ფერწერა	54
5.1.3.5. გრაფიკა	55
5.1.3.6. მუსიკა	56
5.1.3.7. კაზმული ლიტერატურა	57
5.1.3.8. თეატრი	58
5.1.3.9. კინო	59
5.1.3.10. ქორეოგრაფია.....	60
შინაარსი-CONTENTS	64

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა–5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx– 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS –11, ფორმატი Page Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** (ინტერნეტული ვერსია–0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;
3. სტატია წარმოადგინეთ კვარტლის პირველ თვეს.

2017 წლის I კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

მოსაშვები-აკადემიური დოქტორი–ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა, მ.მოსაშვები, თ. ეპიტაშვილი (ინგლისური ვერსია).

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მხარდამჭერები

არიან:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტ-თა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,9

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4.1